

გურამ ბათიაშვილი

ჩ ა ს ა ბ ა მ ი

დრამა ორ ნაწილად

## მოქმედი პირნი

აბიჟუ  
ნადაბი  
იოშუაყი  
მოხუცი  
კულულებიანი  
რაბინი  
მანდილოსანი  
პრანჭია ქალი  
ესთი იუდეველნი  
ზაია

ეუდა  
ხეიბარი  
მონობაზი  
მისი ძმა  
მაცნე

ჭაბუკი  
გოგონა  
იოხანანი  
მოშე იუდეო-ქრისტიანნი  
ნათანი  
ელცაფანი  
შაული  
შიმონი

გამლიელი -- დიდი რაბინი  
ავგუსტუსი -- დესპანი  
ფესტოსი -- იუდეის პროკურატორი  
ასისთავი -- რომაელთა არმიისა

# მეორე ლეგიონერი

## მოქმედების ადგილი -- იერუსალიმი

3.

ფარდა იხსნება თუ არა, სხვადასხვა კუთხეში გადმოეფინება ტილოზე დახატული რომის იმპერატორის პორტრეტები. ისმის ხალხის ნერვიული შეძახილები:

-- არა, არა!

-- მოგვაშორეთ!

-- რომში, რომში გამოფინეთ!

**ლეგიონერი.** მეორე დღეა აქ ღრიალებთ -- წადით, სახლებს დაუბრუნდით!

-- თქვენ წადით, გაგვეცალეთ!

-- არა, არა, არა!

-- არ დავიშლებით!

-- ჩამოხსენით, მოგვაშორეთ!

**ლეგიონერი.** ურჩნი სასტიკად დაისჯებიან.

**მეორე ლეგიონერი.** რომი ურჩობას არავის პატიობს.

**ლეგიონერი.** დაიშალეთ, დაიშალეთ!

**მეორე ლეგიონერი.** ურჩი დაუსჯელი არ დარჩება.

-- ნუ გვემუქრებით, ჩვენს მიწაზე ნუ გვაშინებთ!

-- მოგვაშორეთ კერპები!

-- ჩამოხსენით!

-- შორს, ჩვენგან!

**მეორე ლეგიონერი.** დღეს რომია თქვენი ბედის გამგებელი, დაემორჩილეთ მის ნებას!

**შეძახილები:**

-- წყეულიმც იყავთ!

-- არ გვინდა რომი!

-- ჩვენი ბედის გამგებელი ღმერთია, მხოლოდ ღმერთი!

**საყვირების ხმა.**

**ლეგიონერი** პროკურატორი! აქეთ მოეშურება იუდეის პროკურატორი ფესტოსი!

ფესტოსი (ძლევამოსილი, მხნედ). მოგესალმებით, იუდეველნო!

**ხალხი უხმოდ დგას.**

**ლეგიონერი.** გაუმარჯოს იუდეის პროკურატორს!

**დუმილი.**

ფესტოსი სალამი იუდეველთ -- რომის მეგობართ! (დუმილი.) ვიცი, როგორ გიყვართ იმპერატორი. მოგანიჭეთ ბედნიერება და მთელი იუდეის ქუჩებში გამოვფინეთ მისი პორტრეტები. უფლება გეძლევათ თაყვანს სცემდეთ.

**შეძახილები:**

- მოგვაშორეთ!
  - არა, არა, არა!
  - არ გვინდა!
  - შორს, შორს, შორს!
  - წყეულიმც იყოს ყველა კერპი!
  - ყველა გამოსახულება!
- ფესტოსი.** დიდად ვაფასებთ იმპერატორისადმი თქვენს ერთგულებას, სიყვარულს.
- სტვენა, შეძახილები:**
- ტყუილია!
  - გვძულს!
  - მოგვაშორეთ!

4.

- არა, არ არის ასე!

- არ გვიყვარს!
- არც მოგვწონს!
- ტყუილია!

- მოგვაშორეთ ეგ პორტრეტები!

**ფესტოსი.** მე მომწონს თქვენი მიხვედრილობა, (სტვენა, ხმაური.) უნდა განადიდებდეთ იმპერატორის სახელს – მან ხომ განათლება მოგიტანათ!

**მოხუცი.** ეს ხომ ტაკიმასხარაობაა, პროკურატორი მასხარაობს. იცინეთ, იცინეთ, რომის იმპერატორის ნაცვალის ტაკიმასხარაობაზე. იცინეთ, ადამიანებო!

**მოხუცი გულიან, გადამდებ სიცილს იწყებს. ხალხი აყვება.**

**ლეგიონერი** (ფესტოსი). რას გვიბრძანებ?

**ფესტოსი.** აცალე! (ხმამაღლა.) მე მიყვარს გონიერი ებრაელი ხალხი.

**სიცილმა ლამის გარემო გააყრუოს.**

**მოხუცი.** ასე, კარგია -- დავცინოთ იმას, ვინც ჩვენ დაგვცინის.

**ფესტოსი** (მარჯვენა ხელს აღმართავს, მოსმენას მოითხოვს). ყური მიგდეთ!

**სიცილის ქარიშხალი არ წყდება.**

**ლეგიონერი.** ყველა აქა მყავს, დავცხებ.

**ნადაბი** (ხალხს გამოეყოფა თუ არა, სიცილი შეწყდება). პროკურატორ!

**ფესტოსი** (ლეგიონერს). ეს ვინ არის?

**ლეგიონერი** (მხრებს აიწურავს). ებრაელი... იქნებ, ზელოტიც...

**ნადაბი.** შენ იცი, ჩვენი ხალხი კერპებს გაურბის. ათი მცნებიდან ერთ-ერთი ჩაგვა-გონებს, არ შევქმნათ არა-რა გამოსახულება. არც ცქერა გვწადია მათი. შენ კი ღამით, როცა იერუსალიმს ეძინა, ქალაქს მოკვდავის გამოსახულება მოპფინე.

**ლეგიონერი.** ეს რომის იმპერატორია, ადამიანი, რომლის სახელსაც ეთაყვანებიან.

**ნადაბი.** ორი დღე და ორი ღამეა აქ ვდგევართ. მოგვაშორეთ მოკვდავის გამოსა-ხულება!

**ლეგიონერი.** იგი იმპერატორია.

**ნადაბი.** ადამიანია!

**იოხანანი.** (ცალკე მდგარ ადამიანთა მცირე ჯგუფს გამოეყოფა). ფესტოს, მაგ კაცს ნუ გაუგონებთ -- იტყუება. მეც იუდეველი ვარ და ეგრე სულაც არ ვფიქრობ:

ადამიანის გამოსახულება საამო საცქერია. რატომ არ უნდა ვუყუროთ?

**ნადაბი.** შენს გამოსახულებას ჰქმნი? თავი კერპად მიგიჩნევია, ერთი უბრალო მოკვდავი კი ხარ!

**იოხანანი.** ეგ ძველ ებრაელთა წესია. ჩვენ კი, ახალი ებრაელები, ვამბობთ, რომ ადამიანი უბრალო მოკვდავი არ არის. ადამიანი შემოქმედია.

**ნადაბი.** არა პქმნა თავისა შენისაგან კერპი!

**იოხანანი.** ეგ თქვენი -- ძველ იუდეველთა მცნებაა. ჩვენ ვარლვევთ მაგ მცნებებს.

**ფესტოსი** (ლეგიონერს). ვინ არის ეს ჭაბუკი?

**ლეგიონერი.** ალბათ, იმ ებრაელთაგანი, ახალ გზას რომ დაადგნენ.

**ფესტოსი.** გამიგე, სასწრაფოდ გამიგე... ყველაფერი უნდა ვიცოდე. (ლეგიონერი გადის -- იოხანანს, უფრო კი ნადაბის გასაგონად). იუდეველთაგან მსმენია, ღმერთი ერთიაო. ახლა კი თქვი, ჩვენი ღმერთიო. ეგ როგორ...

**ნადაბი.** მაგან რაც არ უნდა თქვას, ღმერთი ერთია!

**იოხანანი.** მაგრამ არის ძე ღმერთიც, რომელიც ცად ამაღლდა.

**ფესტოსი** (დაინტერესებული, თუ წამქეზებლური ტონით). ჰო ჰო ჰო. მერე? ებრაელთა კიდევ ერთი ღმერთი?

**ნადაბი** (აწყვეტინებს). ჩამოხსენით კერპი!

**იოხანანი.** არ ჩამოხსნათ, არ ჩამოხსნათ ადამიანის გამოსახულება!

5.

**ფესტოსი** (ნადაბს შეპარვით). ზელოტებს თუ იცნობ? იქნებ, თავად ზარ ზელოტი?

**ნადაბი.** ყველა იუდეველი ზელოტია, ჩვენი სულების დაპყრობის უფლებას არავის მივცემთ.

**ლეგიონერი** (ბრუნდება, ხმადაბლა ფესტოსს). მწყემსია. იერუსალიმის ფერდობე-ბზე ცხვარს მწყემსავდა, მერე იუდეო-ქრისტიანებში ჩაეწერა.

**აბიჟუ** (ხალხს გამოეყოფა). ფესტოს, კლავდიუსის განკარგულებას შეგახსენებ: იმპერატორმა იუდეველნი იმპერიის მცხოვრებთათვის სავალდებულო ცერემონიის შესრულებისგან გაათავისუფლა.

**ნადაბი.** ნუთუ, პროკურატორი არაფრად მიიჩნევს იმპერატორის ნებას?

**აბიჟუ.** როგორც კი ლეგიონერები ხალხის რბევას შეუდგებიან, ათჯერ სამ-სამი მხედარი რომისაკენ გაეშურება და იმპერატორს შენს თავნებობას მოახსენებენ. იმასაც იკითხავნ, პროკურატორი რატომ იმულებულყოფს იუდეველთ დღეში სამჯერ აფურთხებდნენ მის პორტრეტს.

**ლეგიონერი.** დროა დავიწყოთ -- ისე დავარბევთ, დიდხანს ახსოვდეთ.

**აბიჟუ.** მაშ, გადაწყვიტე, ფესტოს, ხალხის ხოცვა, თუ შეთანხმება?

**ლეგიონერი.** ვიწყებ.

**ფესტოსი** (ლეგიონერს არც განედავს). დაუყონებლივ, სასწრაფოდ! თითო რაზმი ჩადგეს იერუსალიმის ყველა ჭიშკარში. (ლეგიონერი გარბის). დაიცადე, ეს მას შემდეგ, რაც ჩვენს რაზმებს გაატარებს. იმ რაზმებმა რომს მიმავალი ყველა გზა ჩაკეტონ. სწრაფად!

**ლეგიონერი** (გარბის). არის!

**ფესტოსი** (ხალხს მიუბრუნდება). მოილაპარაკეთ? გადავწყვიტოთ: გინდათ, თუ არა იმპერატორის პორტრეტს შესცეკროდეთ?

**შეძახილები:**

-- არა!

-- დასტოვეთ!

-- არ გვინდა!

-- ჩამოხსენით!

-- არ გვინდა პორტრეტი!

-- გაგვეცალეთ!

**ფესტოსი.** იქნებ, მოილაპარაკოთ, იქნებ, შეთანხმდეთ, იუდეველნი!

**ლეგიონერი** (ბრუნდება). იერუსალიმის ჭიშკრებს კატავენ. დავიწყოთ?

**ფესტოსი**(იოხანანს და მის მეგობრებს შესცერის). მე თქვენი მჯერა, მაგრამ აი, ძველები... ხომ ნახეთ...

**იოხანანი.** ჩვენ გამოსახულება გვინდა!

**ფესტოსი.** აი, ისინი... იმათ დაგძლიეს(რაღაცას ელოდება, იოხანანი და მისი მეგობრები ადგილიდან არ იძვრიან.) თავად ხედავდით, მაგრამ... რა გაეწყობა, გაჯობეს (კვლავ რაღაცას ელოდება. პაუზა.) იმპერატორ კლავდიუსის გადაწყვეტილებას შევასრულებ. აღსრულდეს კლავდიუსის ბრძანება. ჩამოხსენით პორტრეტები! (იოხანანს.) განა, არ მეწადა, თქვენი აზრი ყურად მეღო, მაგრამ თავად დარწმუნდით: ხომ, ხედავთ, თქვენი აზრი არ სურთ (ხალხს) იმხიარულეთ, იუდეველნო, თქვენ გაიმარჯვეთ! (ლეგიონერს.) ამ ხალხს ალყა შემოარტყით. დათმობას სიკვდილს არჩევენ. არაფერი არ დაიზაროთ. (მიდის.) იმხიარულეთ, იუდეველნო, გამარჯვებას მხიარულება უხდება (ხელს უქნევს და მიდის. იოხანანს და მის მეგობრებს) თქვენც იმხიარულეთ, მერე რა მოხდა, დაგამარცხეს!

**ლეგიონერი** (წამოეწევა). ესენი? ახალი იუდეველნი!

**ფესტოსი** (ლიმილით). ესენიც ხომ ებრაელები არიან!

## დაბნელება

6.

მკრთალი შუქი ავანსცენაზე.

უკუნი ლამე -- ვიღაც მძიმედ სუნთქავს.

თანდათან გამოიკვეთება ნადაბის ფიგურა.

კოჭლობით დადის -- ვიღაცის მოახლოებას გრძნობს.

**ნადაბი.** აბიჰუ, შენ ხარ?

აბიჰუ (მყისვე მიწას განერთხმება). რომელი ხარ?

**ნადაბი.** მე ვარ, ნადაბი. ფესტოსი უნდა მოკვდეს, აბიჰუ!

აბიჰუ. რა აზრი აქვს -- განა ერთი და ორი ფესტოსი ჰყავთ!

**ნადაბი.** იუდეველთა სისხლის მოყვარული უნდა მოკვდეს. (ქარს მუსიკის ხმა მოაქვს.) იქ კი ვიღაც ილხენს. ლხინი დარბეულ ქალაქში.

აბიჰუ. ჩუ, ვიღაც მოდის!

**ეუდა** (შემოდის). გადარჩით? ცოცხალი ხართ? აი, იქ, იმათ ქორწილი აქვთ, თითქოს დღეს იერუსალიმში ამდენი ხალხი არ დაუხოცავთ. (ნაღველით.) ორმოცამდე ქალი და კაცია, ბავშვებიც ურევია. (სინაულით გასცერის იმ მხარეს, საიდანაც მუსიკის ხმა მოდის.).

აბიჰუ. ვერ გავიგე, რას ამბობ?

**ეუდა.** ქორწილი აქვთ-მეთქი. მუსიკაც იქიდან ისმის. შევედი, კუთხეში დავდექი, ხუფა სწორად ჩაატარეს, ისე, როგორც იუდეველნი უნდა ქორწინდებოდნენ, მაგრამ... (პაუზა.) როგორც კი ცოლ-ქმრად კურთხევის წესი აღასრულეს, იუდეველობა ოფლით აშმორებული ხალათივით მოისროლეს. უცნაურად მღეროდნენ... იუდეველური იყო და -- არც იყო...

**ნადაბი.** რაღაც იწვის.

**ეუდა.** თითქოს არც ცეკვა გვქონია, არც არასდროს გვიმღერია.

**ნადაბი.** ცეცხლი-მეთქი, იწვის! (გაქცევას აპირებს).

**ეუდა** (გზას მოუჭრის). შეჩერდი, ნადაბ, ეგ საჭირო ზანძარია, დასჯის ზანძარი.

ქორწილიდან გამოვედი და ცეცხლი წავუკიდე.

**ნადაბი.** ქორწილი აქვთ!

**ეუდა.** ჩვენგან გამდგარი, რჯულის მოღალატე იუდეველები.

**ნადაბი.** ის არ გვეყოფა, რაც ფესტოსმა გვიყო?

**ეუდა** (აბიჰუ გაქცევას ცდილობს, ეუდა გზას მოუჭრის). განმდგარი იუდეველნი ქვეყანას ვერ შეინარჩუნებენ. (აბიჰუმ დრო იხელთა -- ზანძრისაკენ გაიქცა). აბიჰუ, აბიჰუ, სად გარბისარ!

**ნადაბი.** სიძულვილი აქცევს იუდეას -- იუდეველთა ერთმანეთისადმი სიძულვილი.

რომი სასჯელად მოგვივლინა ღმერთმა.

**ეუდა** (ყვირის). ეჰეეი, ადამიანებო, ისრაელის შვილებო, გამოდით, ნახეთ, რა ბედი ელით რჯულიდან განმდგართ!

**ნადაბი.** აქ მთავარი სიძულვილია და არა რჯულიდან განდგომა.

**ეუდა.** ეგრე გულგრილად ვუყუროთ, როგორ სწადიათ ჩვენი შეცვლა? ჯერ მიწა წაგვართვეს, ახლა უნდათ რჯულს ვაქციოთ ზურგი. თუ ასე არ დავუდექით, ცოტა ზანში აღარც ვიქნებით.

**აბიჰუ** (ბრუნდება). სიძემ ფეხი მოიტეხა, პატარძალს გული წაუვიდა.

**ეუდა.** დაიმახსოვრონ, დაიმახსოვრონ, რომ რჯულის უარმყოფელნი ისჯებიან.

**ზმაური.** კაცის შეძახილი. ქალის ზმაც ისმის -- შეკივლება ზმაურია, რა ზდება?

**ნადაბი.** ჩუ! (დუმილი) არა, არავინ არი! (აბიჰუს.) კიდევ?

ქალის შეკივლება.

7.

**ნადაბი.** ლეგიონერები ქალებს მისდევენ.

შუბებს ხელს წაავლებენ და გარბიან. განათდება სცენის სიღრმე --

შეშტოთებული ყმაწვილი ქალები ავანსცენისაკენ მორბიან, ორი ლეგიონერი მოსდევთ, ცდილობენ ესთის და ზაიას გზა მოუჭრან.

**ლეგიონერი.** ასე რამ შეგაშინათ, გოგონებო, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ.

**ზაია** (ყვირის). აქეთ, აქეთ, გვიშველეთ!

**ლეგიონერი.** რატომ ყვირით? ვიცეკვოთ, ვიმღეროთ... შეჩერდით!

**მეორე ლეგიონერი.** თუ არ დაგვნებდებით, დაგიმორჩილებთ. (ესთის ლამის ხელს წაავლებს.) დაგვნებდით, გვასიამოვნეთ და ისიამოვნეთ!

**ესთი** (დაუსხლტება). ვერ ეღირსებით!

**ლეგიონერი.** ჩვენ, რომაელები ვართ და იუდეველი ქალების გასინჯვა გვსურს, მეტი არაფერი!

**მეორე ლეგიონერი** გაგსინჯავთ და წავალთ, ხომ უნდა ვიცოდეთ, როგორი არიან იუდეველი ქალები.

**მეორე ლეგიონერი.** იუდეველი ქალი ვნებით არისო სავსე.

**ესთი** (ყვირის). აქ ვართ, ხრამთან, გვიშველეთ!

**ზაია.** ზელოტებო, აქ ვართ, ჩქარა!

**ლეგიონერი.** ვერავის გააგონებთ. აქ არავინ არის!

**ესთი.** მალე ზელოტები გაჩნდებიან

**მეორე ლეგიონერი.** ჰი ჰი ჰი! როგორ შეგვაშინე!

**ზაია.** აქეთ, აქეთ, ჩქარა!

**ლეგიონერი.** რა ხანია იერუსალიმს სძინავს.

**მეორე ლეგიონერი** (ლეგიონერს). ეს ყველაფერი ქალების ოინებია -- რაც უფრო მეტს გაგაწვალებენ, მით უფრო მეტ სიამოვნებას ღებულობენ.

**ლეგიონერი.** გამიგია, ძალიან უყვართო ეგ საქმე.

**მეორე ლეგიონერი.** ეგ საქმე ყოველ ქალს უყვარს!

**ლეგიონერი.** კაცებზე უფრო?

**მეორე ლეგიონერი.** ეე, შენ არაფერი გცოდნია კაცებზე უფრო, ცხადია!

გოგონებმა დრო იხელთეს და ლამის გაეცალნენ, მაგრამ

ლეგიონერებმა გასასვლელთან მიუსწრეს, ხელი წავლეს.

ხედავ, რა ცქინიტია? ეგ სულ დაგპენს, მთელ სხეულს დაგილურჯებს.

**ლეგიონერი.** არა, არა, მშვიდად, უშფოთველად დავიწყოთ. მერე ავჩქარდეთ, მერე დავლვაროთ ვნება(გულისპირს გაუხსნის.) ააუჰ, რა მკერდი აქვს, რა ძუძუ!..

**ხაია.** ღორო, ჭუჭყიანო ღორო, ხელი მომაშორე, ბინძურო წარმართო!

**მეორე ლეგიონერი** (ესთი ქვეშ მოიქცია). ნუ იკბინები, ნუ იკბინები-მეთქი. ცოტაც და სამური წუთები გექნება!

**ესთი.** მიშველეთ, მიშველეთ, ზელოტებო, ისრაელებო!

**იოხანანი** (შემორბის. ლეგიონერს თავზე ფეხს დაადგამს). რას სჩადიხართ!

**ესთი.** იოხანან!

**ხაია.** მე, მე იოხანან, შენ ხომ ჩემს საშველად მოხვედი!

**იოხანანი** (ლეგიონერს). ფეხზე დადექ, უნიფერვ, ცოდვას გადაგარჩინე!

**ლეგიონერი** წამოხტება და იოხანანს შეუტევს.

**მეორე ლეგიონერი.** (ხაიას თავს ანებებს და იოხანანს შეუტევს). როგორ გაბედე, რომაელზე თავდასხმა როგორ გაბედე!

**ლეგიონერი.** სისხლით უნდა ზღო, ყაჩაღო!

**იოხანანი.** მე თქვენი სისხლი არ მწყურია, წადით! (ესთის და ხაიას) აქაურობას გაეცალეთ!

**მეორე ლეგიონერი.** შენ უნდა მოკვდე, იუდეველო, რომაელს თავზე ის ტურტლი-

8.

ანი ფეხი დაადგი, რომლითაც ამ ბინძურ მიწაზე დაიარები.

**იოხანანი.** მშვიდობით იყავით, გაგვეცალეთ!

**ესთი.** აი, ეს ნამუსის ართმევას მიპირებდა.

**ხაია.** ამ არამზადამ გულისპირი გამიხსნა.

**იოხანანი.** წადით-მეთქი, მე სისხლს არ დავლვრი. (სატევარს მოისვრის).

**ლეგიონერი** (ესთის ხელს ჰკრავს. ესთი მიწას დაენარცხება. სატევარს გააშიშვ-ლებს). უნდა მოკვდე, შენ უნდა მოკვდე, ბინძურო იუდეველო!

**იოხანანს ლამის სწვდეს.** ესთი წამოდგება, გაექანება,

**შეხტება** და წელში ფეხს ჩაარტყამს, მყისვე მასავით შეხტება ხაია.

**მეორე ლეგიონერს** ფეხს ჩაარტყამს. **ლეგიონერები** წაიქცევიან.

**შემორბიან** ნადაბი, აბიჟუ და ეუდა. **ლეგიონერებს** თავს დაადგებიან.

**ეუდა.** არც გაინძრეთ, უბედურნო!

**ეუდა** (იოხანანს გაოცებული). შენ რომაელს დაესხი თავს?

**იოხანანი.** ცოდვას ავარიდე, სისხლის აღრევის ცოდვას. (მიდის).

**ესთი.** იოხანან, სად მიდიხარ! (აბიჟუს.) გადაგვარჩინა.

**აბიჟუ.** ეგ ჩვენთან არ გაჩერდება. ხომ არაფერი იტკინე?

## იოხანანი მიდის

ესთი. იოხანან... (მიჰყვება.)

ეუდა. ესთი, საით!

ხაია (იოხანანისაკენ ორიოდ ნაბიჯს გადადგამს). იოხანან... ესთი, შენ...

აბიჰუ (ხაიას მკლავში ხელს ჩავლებს). მაგან ადონაის ზურგი აქცია, ახალ ღმერთს მსახურებს.

ესთი. იოხანან, შენთან მოვდივარ, დამიცადე! (გადის).

ხაია (აბიჰუს ხელს აუქნევს. იოხანანს და ესთის სინანულით გასცერის.) გამიშვი, ხელი გამიშვი! (გაღიზიანებული, ლეგიონერს დაუნდობლად ურტყამს). ხომ გეუბნებოდი, ზელოტები მოვლენ-მეთქი, თქვენი ბრალია ყველაფერი -- თქვენ რომ არ დაგვსხმოდით თავს, იოხანანი არ მოვიდოდა და ესთი არ გაყვებოდა. ხომ გეუბნებოდით, ღორები ხართ-მეთქი, ზელოტებს არ ძინავთ-მეთქი, რატომ შემახე ეგ ბინძური ხელი, რატომ! ამიტომაც წავიდა, ამიტომ წაიყვანა ეს სულელი და თავხედი ესთი, ყველას რომ ეტენება!

ეუდა (ხაიას ხელს მოხვევს, ლეგიონერს მოაშორებს). შენი დარტყმა მაგისთვის ალერსია, იყუჩე, ეგნი უნდა გავასამართლოთ.

ლეგიონერი. არ გაქვთ უფლება -- ჩვენ რომის მოქალაქეები ვართ.

მეორე ლეგიონერი. რომის მოქალაქეს პატივისცემით უნდა მოექცეთ!

აბიჰუ. რომის მოქალაქეს იუდეაში რა უნდა?

ლეგიონერი. წესრიგი უნდა შეგაყვაროთ, ერთმანეთის პატივისცემა გასწავლოთ -- თქვენ ხომ წერა-კითხვის უცოდინარი, თითქმის ველური ერი ხართ!

ნადაბი. სასამართლო!

ლეგიონერი. ვინ მოგცათ უფლება რაიმე აენოთ რომის მოქალაქეს.

აბიჰუ. თქვენ გაგასამართლებენ ზელოტები. დაიწყე, ეუდა!

ეუდა (ხაიას). აქ მოდი, გვიამბე, რა მოხდა?

ხაია. შინ ვძრუნდებოდით, ამათ გზა მოგვიჭრეს და ცხოველებივით აქეთ გამოგრეავეს. იუდეველი გოგონები უნდა გავსინჯოთო (ბრაზი ერევა.) ამას ეწადა, მე ისე გავესინჯე, როგორც კაპტუსს უსინჯავენ გემოს -- დამწიფდა თუ არაო, მერე წასულიყო და ტკბილად დაეძინა

ნადაბი. განაჩენი!

ნადაბი. ჩვენს გოგონებს ნამუსის ასახდელად დასდევთ.

9.

აბიჰუ. სამშობლოს დამცველებს სიცოცხლე წაართვით, იუდეის ყოველ ოჯახში სიკვდილი ჩასახლეთ.

აბიჰუ. სული სულის წილ!

ეუდა. თვალი თვალის წილ!

ნადაბი. კბილი კბილის წილ!

ლეგიონერი (ტაშს შემოკრავს). ტაში, ტაში, ტაში!

ეუდა. თქვენ უნდა მოკვდეთ, რომაელნო, ასეთია იუდეველთა განაჩენი!

ლეგიონერი. ტაში-მეთქი, რატომ ზარმაცობთ, ტაშს რატომ არ უკრავთ?!

მეორე ლეგიონერი სტვენს.

ნადაბი (ხაიას). შენ რატომ არაფერს ამბობ?

ხაია. ნუ მოკლავთ, ცოდვას ნუ დაიდებთ!

ეუდა. დამპყრობლის მოკვდინება ცოდვა არ არის.

ხაია. დაკოდეთ, ან ხელები მოაჭერით, რომ ქალის სხეულზე აღარ აფათურონ.

ეუდა. თუ ადამიანი იმისთვის მოდის, რომ მიიტაცოს შენი მიწა, სახლი, ცოლი, შვილი, ან მეგობარი, დაასწარი და მოკალი. ეს მადლია.

ზაია. წავიდნენ, სხვა ლეგიონერებს უამბონ, როგორ ვაჩუქეთ სიცოცხლე.  
აბიჰუ. სიკვდილი!

ეუდა. ჩვენი სამშობლოს ამაოხრებელთ მხოლოდ სიკვდილი!

ნადაბი. განაჩენი საბოლოოა და ასრულდება დღესვე, დაუყოვნებლივ!

ეუდა. თენდება. განაჩენის ასრულების დროა.

ზაია. ის არ გითქვამთ, როგორ მოვაკვდინოთ.

აბიჰუ. სიკვდილით დასჯის ოთხი გზა გვაქვს. პირველი: ცეცხლზე დაწვა.

ნადაბი (აწყვეტინებს). არა, არა... რომაელები შეამჩნევენ.

აბიჰუ. ქვით ჩაქოლვა. იერუსალიმში ქვის მეტი რა არის!

ეუდა. დიდი დრო უნდა. სადაცაა გათენდება. ჩამოვახრჩოთ. ზეზე ჩამოვკიდოთ.

ლეგიონერი (მეორე ლეგიონერს). ამათ რა შეუძლიათ, გარდა განსხვავებული აზრების დახვავებისა.

ზაია. მე გეტყვით, მე ვიცი, როგორ უნდა მოკვდინდნენ – ისე როგორც ეგენი აკვდინებენ ებრაელთ – რამდენი იუდეველი გააკრეს ჯვარზე, ჯვარზე გაკრული რამდენი ებრაელი დაცალეს სისხლისგან.

ნადაბი. რომაელი რომაული წესით მოკვდინდეს!

აბიჰუ. რას ამბობთ, იუდეველნო. სადაცაა გათენდება. ჯვარზე გაკრული უცებ არ კვდება – ნელ-ნელა იცლება სისხლისაგან. დიდი დრო უნდა. სადაცაა რომაელნი ქალაქის შემოვლას დაიწყებენ.

ეუდა. მახვილი ჩავცეთ და უცებ დავამთავროთ!

ლეგიონერი. რა სასაცილონი ზართ! (სტვენს).

აბიჰუ. გადაწყდა. მახვილი!

ნადაბი. მახვილი. იყოს ეგრე!

ეუდა. მახვილით მოსულს, მახვილი მივაგებოთ.

მეორე ლეგიონერი (ირონიით). იუდეველთ საერთო ენა გამონახეს. ტაში! (გაბმულად სტვენს. ისმის საპასუხო სტვენა).

ეუდა. ჩუ, ეს რა არის?

ლეგიონერი. ჩიტები! გამოენის ხანს სტვენას პასუხობენ.

სტვენა მეორდება. მეორე ლეგიონერის საპასუხო სტვენა.

მეორე ლეგიონერი. ჩვენ კამათს არ დავიწყებთ, ყველას გაგაკრავთ ჯვარზე.

ზაია (ყვირის). რომაელები, ყოველი მხრიდან რომაელები!

დაბნელება. ისმის ბრძოლის ხმები, შეძახილები.

„აქეთ“, „აქეთ“, „შეჰერით“, „იქით არიან“.

10.

განათდება ავანსცენა. იოხანანი ჩქარი ნაბიჯით მოდის.

ესთი (იოხანანს მოსდევს). იოხანან, იოხანან, რატომ გარბიზარ?

იოხანანი. ნუ მომდევ-მეთქი, დაბრუნდი!

ესთი. შენთან მინდა (იოხანანს ვნებამორული ეხვევა.) რატომ იოხანან, ასე რატომ გამირბი?

იოხანანი (ცდილობს ვნება დაიოკოს, ესთის გაეცალოს). წადი, წადი, ეგ ადრე იყო, ყველაფერი შეიცვალა... ახლა სხვა იოხანანი ვარ, სულ სხვა...

ესთი. მაინც ჩემი იოხანანი ზარ... ჩემი... ხომ მეუბნებოდი, სამუდამოდ ერთად უნდა ვიყოთო... (ეხვევა, სულმოუთქმელად კოცნის).

იოხანანი (აფორიაქებული). არა, არა, არ შეიძლება, არ იქნება! (მაგრამ ესთის ცეცხლოვან ვნებას ემორჩილება, ნებდება, გაშმაგებული კოცნის).

ესთი. იცი, რა კარგი ხარ, რა სანეტარო!

იოხანანი. შენც, შენც... მე ახალი ღმერთი მყავს. მე სხვა გზით წავედი.

ესთი. სიყვარულს გიშლის? ეგ გზა სიყვარულის უფლებას არ გაძლევს?

იოხანანი. შენ სხვა ხარ, მე -- სხვა... შენ სხვა ღმერთს მსახურებ, მე -- სხვას.

ესთი. იოხანან, იოხანან! (ეხვევა.) შენთან მინდა.

იოხანანი. ნუ გამომყვები, ნუ მომდევ... მე ახალი ღმერთის მორჩილი ვარ, იმ ღმერთმა თავი შემომწირა.

ესთი. ჩვენ ხომ ყველას ერთი ღმერთი გვყავს – ადონაი!

იოხანანი. მე სხვა გზით წავედი, ჩემი ღმერთი ის არის, ვინც ყოველი ჩვენგანის ცოდვა იდო თავს... ჩვენთვის დატოვა წუთისოფელი.

ესთი. ხო... ხო კი, კარგია, კარგი!

იოხანანი. და მერე აღდგა, ცაში დაიდო ბინა.

ესთი. რა დროს ეგ არი, მომეკარი, უფრო მომეკარი!

იოხანანი. ნუ გამომყვები. ნუ მომდევ! (მიდის, მობრუნდება, ეხვევა, კოცნის).

ესთი. იოხანან, ნუ წახვალ, იოხანან!

იოხანანი. ნუღარც მომძახი... ნუ... ნუ... (ერთმანეთს მხურვალედ კოცნიან).

დაბნელება.

სინათლის წრეში მაცნე მოექცევა. დარბაზს ირონიული ღიმილითა

და უცნაური ინტონაციით ელაპარაკება

მაცნე. იერუსალიმის ტანჯულო ჯამაათო, ეს დიდებული ზელოტები რა ცუდი ადამიანები ყოფილან! არ სჯერათ რომაელთა კეთილი ზრახვისა. რომაელები აქ ხომ იმისთვის მოვიდნენ, რომ იუდეამ უკეთ იცხოვროს, განათლებას დაეწაფოს,

ჭუჭყიანი აღარ იყოს, ლოცვაზე კი არა, სხეულის გაკაუებაზე იფიქროს. ღვთის მცნებანი კი არა, სიმღერა და ცეკვა ისწავლოს. ზელოტებს ეს არ ესმით. იმდენად უვიცნი არიან, ასეთი კეთილი განზრახვით მოსულ რომაელებს ხოცავენ, მაგრამ რიგიანად არც აგებინებენ, არ უხსნიან რას ერჩიან, რატომ ხოცავენ. თურმე წუხელ ზელოტები ახსნა-განმარტების გარეშე ლამობდნენ იუდეაში ჩვენს

საამებლად მოსული ლეგიონერების დახოცვას. ზელოტთა სიაში ქალებიც ჩაწერილან. სწორედ ისინი დასხმიან თავს ლეგიონერებს. კაცებზე უფრო ჯიუტნი

და გაუტანელნი ყოფილან. კაცებს უბრალო სტვენაც კი აფრთხობდათ და როცა ლეგიონერთა რაზმი მოვიდა, გაიქცნენ, ტყეს შეაფარეს თავი. ერთი სულელი ზელოტი კი მთელი ნახევარი საათი ებრძოდა ლეგიონერებს. ერთი რომაელი მოუკლავს, სამი დაუჭრია, მერე ქვისთვის წამოუკრავს ფეხი, დაცემულა და... ხომ ყოფილა სულელი? თუ ერთი მტერი მოპალი, სამი დაჭერი და არც გააგებინე რისთვის ებრძი, წადი, გაიქეცი! არა, ამან ქვას წამოპკრა ფეხი. გულის ფიცარზე დაიწერეთ: ადამიანებს უნდა აუხსნათ, კარგად გააგებინოთ, რატომ ებრძვით, რისთვის. მანამდე კი, ხვალ, ნაშუადლევს, ლოცვის შემდეგ ჩრდილფენილ

11.

მოედანზე მოდით და უყურეთ როგორ სჯიან რომაელები ურჩ ებრაელებს -- ჯვარზე გააკრავენ იმ ზელოტს, რომელმაც ერთი ლეგიონერის მოკვლა, სამის დაჭრა არ იკმარა და ქვასაც კი წამოპკრა ფეხი. (გადის).

ავანსცენა. ესთის მთელი ბლუჯა მინდვრის ყვავილები უჭირავს ხელში.

ხაია (შემორბის). იოხანანი სად არის? (ესთი ხაიას თვალს მოავლებს, პასუხს არ

აძლევს). სად არის-მეთქი, იოხანანი! (დუმილი. ესთი ტუჩებზე თითს გადაისმევს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ რაღაც სასიამოვნოს იგონებს, ეს კი ხაიას უფრო აღიზიანებს) ესთი, სად არის იოხანანი!

ესთი. სსს...ჩუმად!

ხაია (მიმოიხედავს). ესთი, მიპასუხე, სად არის იოხანანი?

ესთი. ჩუმად-მეთქი, ხომ გითხარი!

ხაია (მიმოიხედავს, ხმადაბლა). რა მოხდა?

ესთი. ჩემთან კოცნაობა ისე ეამა, ტკბილად ჩაეძინა.

ხაია. კოცნაობა? როგორ შეიძლება!

ესთი იცი, რა კარგი იყო? ასეთი რამ არასოდეს მქონია.

ხაია. რას ამბობ, სხვისი დანიშნულის კოცნა... სხვის დანიშნულთან კოცნაობა?!

ესთი. რა კარგი იყო, რა საამო!

ხაია. სად არის, სად წაიყვანე!

ესთი (ლიმილით). თვითონ წამიყვანა.

ხაია (სულმოუთქმელად). სად? ახლავე მითხარი -- სად არის? (მიმორბის, სცენის ყოველ კუთხე-კუნჭულს ათვალიერებს) სად ძინავს? აქ არავინაა. (ესთის შეან-ჯლრევს) გამაგებინე, სად წაგიყვანა!

ესთი (ლიმილით). იქ, სადაც კოცნა შეიძლებოდა და მბულვარე თვალი არ დაგვინახავდა: აქეთ მომყევი, რაღაც უნდა გაჩვენოო, შემიტყუა.

ხაია. მერე? მერე რა მოხდა?

ესთი. (ხმადაბლა, საიდუმლოს განდობის ინტონაციით.) იუდეო-ქრისტიანებს რა კარგი კოცნა სცოდნიათ!

ხაია. სტყუი, ცრუობ!

ესთი. ტუჩები დამისია. ახლა ვიგრძენი ტკივილი. მკბენდა?!

ხაია. სტყუი-მეთქი, არა, არა!

ესთი. კბენაც იცის? იცის კბენა? (პაუზა.) შენ საიდან გეცოდინება -- ალბათ, ერთ-ხელაც არ უკოცნია. რა გულქვა ხარ, ხაია, ნახე, როგორ დამისია ტუჩები!

ხაია (ნერვიულად). ტყუილია, ტყუილია-მეთქი. არა, არ შეიძლება!

ესთი. თუმცა, გემრიელად კი იკოცნება. (ტუჩებზე ნეტარებით გადაისმევს თითს.) მისი კოცნა სხეულში ურუანტელად მივლიდა.

ხაია. იოხანანს შენთვის არ უკოცნია, იოხანანი შენ არ გაკოცებს.

ესთი. ასეთ კოცნას სად ასწავლიან!??!

ხაია (უცებ, იმპულსურად,). მე ვასწავლე, სხვაგან სად ისწავლიდა!

ესთი (გაიცინებს). ყოჩალ, ძალიან გემრიელია, ძალიან!.. (მიდის).

ხაია. (მისწვდება, ხელს ჩაავლებს). სად მიდიხარ?

ესთი. (ტუჩებზე ისევ სიამოვნებით გადაისმევს თითს.) კბენაც შენ ასწავლე?

ხაია. ჩემს დანიშნულთან არ გაგიშვებ.

ესთი. ჩემთან კოცნაობა ყველაფერს ურჩევნია.

ხაია (თვალები ცრემლებით ევსება). ესთი, რას ამბობ, ესთი!

ესთი (სიბრალულით). შენთვის ერთხელაც არ უკოცნია, ხომ? შენი კოცნა რატომ არ უნდა?

ხაია (ტირის). არ ვიცი, არ ვიცი...

ესთი. მეჩქარება, მერე ყველაფერს გიამბობ.

ესთი (იცინის). შენ ვერ დამაკავებ...

წრეს უვლიან, ერთმანეთს თვალით ზომავენ. ესთი გაქცევის გზას ეძებს.

ზაია. არა-მეთქი.

ესთი. მე ისე მინდა იმასთან, ვერ დამაკავებ!

ზაია. ვერსად ვერ წახვალ, ვერსად!

ესთი. მელოდება, ცოდოა!

ზაია. არა, არა-მეთქი!

ესთი (გარბის). ყველაფერს გიამბობ, უსათუოდ გიამბობ.

დაბნელება.

ფესტოსის სასახლე. ვერანდას მზის სხივები აცისკროვნებს. ფესტოსი

სავარძელში მოკალათებულა, ავგუსტუსი ქალაქს გადასცეურის.

ავგუსტუსი. ასე მგონია, ამ ქალაქში ნაგავი მეფობს, ირგვლივ ჭუჭყია, სიბინძურე.

ფესტოსი. ვგონებ, სწორად მოვიქეცი, საუბარი დილისთვის რომ გადავდე.

ავგუსტუსი. ბოსფორამდე ისე გვარწევდა, ვშიშობდი, მარმალილოს ზღვის თევზების კერძად არ გვაქციოს-მეთქი.

ფესტოსი. ეგ სახეზევი გეწერა.

ავგუსტუსი. კლავდიუსი ჩქარობს--თუ ზვალ არა, ზეგ უნდა გავბრუნდე. მელოდება.

ფესტოსი (პაუზის შემდეგ). ეგ სიჩქარე არაფერს არგებს.

ავგუსტუსი. თითქოს ნაწვიმარზე ამოსული ბალაზი იყოს, ძალიან სწრაფად მრავ-ლდებიან რომში, რომი ასე რატომ ამოიჩემეს?

ფესტოსი. არა მხოლოდ რომი, სხვა ქალაქებიც, სხვა ქვეყნებიც. ჰაერივით, წყალივით შეუმჩნევლად, უხმაუროდ შედიან...

ავგუსტუსი (აწყვეტინებს). ადამიანები იცვლებიან, გაიძახიან ხელახლა დავიბადეთო. სწორედ ამიტომ გამომგზავნა კლავდიუსმა: ვინ არიან იუდეო-ქრისტიანები და რა სწადიათ?

ფესტოსი (ერთხანს დუმილით მიმოდის ვერანდაზე). იქნებ, თავიდან დაგვეწყო და ის გვეკითხა, ვინ არიან ებრაელები?

ავგუსტუსი. ეგ ვიცით: ერთი ჯიუტი, შეუსმენელი ხალხია, არაფერს სცნობენ, გარდა მოსეს მცნებებისა, იმდენი წინასწარმეტყველი მოიგონეს, რამდენიც არავის ჰყოლია, მაგათ თუ დავუჯერებთ, ზეცა სულ ამათზე ზრუნავდა.

ფესტოსი. ეგ ყველაფერი იყო, ავგუსტუს, ეგ ყველაფერი იყო... დღეს ლამის ყოველი ებრაელი ზელოტად იქცა.

ავგუსტუსი. ზელოტი? ეგ კიდევ რაღაა.

ფესტოსი. რომის დაუძინებელი მტერი ებრაელები, ჩვენი სამშობლო დატოვეთო, ყოველ წუთს ცდილობენ, რომაელთა სისხლი დაღვარონ. იმ ებრაელთა სისხლსაც კი ღვრიან, რომლებიც რომაელებს არ ებრძვიან. თუმცა, ასეთი უკვე ცოტაა.

ავგუსტუსი. იუდეველები, იუდეო-ქრისტიანები, ზელოტები...

ფესტოსი. ფრუშიმები, შეუვალი, არამქეყნიური ესეიანელები, საღუპეველნი... და ყოველ მათგანს ისე მტკიცედ სჯერა, თავისი ერთადერთი ღმერთისა, რომ...

ფესტოსი. დიახ, ერთადერთი ღმერთი და არა ღმერთების პანთეონი!

ავგუსტუსი. და ახლა სწადიათ, ეს უაზრობა რომს მოახვიონ თავს!

ფესტოსი. არა მხოლოდ რომს!

ავგუსტუსი. სხვა ქვეყნებშიც ჰაერივით უხმაუროდ შედიან. ასე რატომ ცდილობენ რომში გაავრცელონ ებრაელთა ეგ ახალი გამოგონება -- იუდეო-ქრისტიანობა.

ფესტოსი. რა დიდი გამოცანა ეგ არის -- რომია სამყაროს მპყრობელი. ის, ვინც რომაელთა გულსა და გონებას დაუუფლება, ქვეყნიერების გამგებელი ხდება.

**ავგუსტუსი.** კლავდიუსს კი ასეთი ამოჩემების მიზეზად შურისძიება მიაჩნია. (ფესტოსის კითხვის გამომხატველი მზერა) იუდეო-ქრისტიანობის ასეთი შემოტევის მიზეზი ის არისო, რაც ასი, იქნებ, ცოტა მეტი ხნის წინათ, მოხდა: პრეტორმა გისპანმა ებრაელები რომიდან გააძევა.

**ფესტოსი** (თავს გააქნევს). მანდ ორი შეცდომაა, ავგუსტუს. კლავდიუსმა ორი რამა არ იცის: პრეტორმა გისპანმა ებრაელები გააძევა, მაგრამ იულიუს ცეზარმა დააბრუნა -- ებრაელები ყველას სჭირდება, მათი ხმა ყოველ ქვეყანაში ისმის. იულიუს ცეზარის დეკრეტის შემდეგ, რომში ებრაელობა გამრავლდა. ახლა კიდევ ამბობენ, ნერონის უღლის გამწევს -- პოპეას იუდაიზმი ერთობ მოსწონსო, ესკი იმას ნიშნავს...

**ავგუსტუსი** (აწყვეტინებს, ირონიულად). რომში იუდაიზმი დაიდებს ბინას? ტყუილი შიშია. ამომავალი ვარსვლავის -- ნერონის ლოგინში პოპეას ადგილს იმდენი ქალი იკავებს, ზოგჯერ კაციც... არა! პოპეა, უკვე ერთი კვირის წინ გაფურჩ-ქვილი ვარდია. მეორე შეცდომა რომელილაა, (თითქმის ხაზგასმით, რაც ფესტოსს არ გამოეპარება) კიდევ რა არ იცის კლავდიუსმა?

**ფესტოსი** (ავგუსტუსს დაჟინებით შესცეკერის, თითქმის კბილებში გამოსცრის). იუდეო-ქრისტიანები ებრაელობისათვის არაფერს არ გააკეთებენ, არაფერს!

**ავგუსტუსი.** კლავდიუსმა რომ ებრაელები რომიდან ისევე გააძევოს, როგორც პრეტორმა გისპანმა, ფესტოსი რას იტყოდა?

**ფესტოსი.** ფესტოსი იკითხავდა: რატომ ებრაელები?

**ავგუსტუსი.** მაგ იუდეო-ქრისტიანობით სწორედ ებრაელები იპყრობენ რომს. ეგენი ხომ ერთი არიან.

**ფესტოსი.** ეგ ადრე იყო, დღეს იცვლება.

**ავგუსტუსი.** გამოდის, ყველა ერთად უნდა მოვსპოთ -- ებრაელებიც, იუდეო-ქრისტიანებიც...

**ფესტოსი.** (სავარძელზე მიუთითებს). გთხოვ! კი, ერთ დროს ეგრე იყო, დღესაც თითქოს ერთი არიან, მაგრამ იუდეო-ქრისტიან ებრაელებს იუდეველი ებრაელები უკვე აღიზიანებენ, რატომ არ მოგვყვებითო. იუდეველები კვლავ ადონაის ერთგულებენ... და იუდეო-ქრისტიანებს ამრეზილნი შესცეკერიან.

**ავგუსტუსი.** რა განსხვავებაა, ძველიც და ახალიც ებრაელების მოგონილია, მათი ღმერთია და არა ჩემი.

**ფესტოსი.** იუდეო-ქრისტიანი ებრაელები თითქმის სხვად იქცნენ -- იუდეველთათვის უცხოდ, მიუღებლად. დღეს ისინი იუდეველთ შესძახიან ჩვენი ღმერთი თქვენ მოჰკალითო. ამით ხომ იმას უვლიან გვერდს, რაც პილატემ რომის კანონის ძალით გააკეთა. იუდეო-ქრისტიანები გვერდს უვლიან რომის მიერ სისხლის დაღვრას და...

**ავგუსტუსი.** ვერაფერი გავიგე, ფესტოს, რაზე საუბრობ?

**ფესტოსი.** მე ვამბობ და ეს კლავდიუსსაც ვაუწყოთ, უნდა იცოდეს: იუდეო-ქრისტიანებმა იუდეველი რაბის რომის კანონით დასჯას გვერდი აუარეს და ეს ამბავი იუდეველთა ბრალად აქციეს. ამით ჩვენ ნიშანი მოგვცეს.

**ავგუსტუსი.** რა ნიშანი?

**ფესტოსი** (პაუზის შემდეგ). მათ რომისკენ მოუწევთ გული.

**ვგუსტუსი(ფიქრობს)** გამოდის იერუსალიმს რომი ურჩევნიათ? (მტკიცედ). ჩვენ ბარბაროსებთან არ ვმეგობრობთ, ბარბაროსი შეიძლება გყავდეს მონად და არა

მეგობრად. (ფესტოსის დამცინავ მზერას წააწყდება. ინტონაციაშეცვლილი.) ჩვენ  
რაში გვჭირდება, რაში გამოგვადგება ეგ იუდეო-ქრისტიანების ღმერთი?  
ფესტოსი. ავგუსტუს, რომში თუ კიდევ დარჩნენ წინდახედული, გონიერი ადამია-  
ნები, იმაზე უნდა ბჭობდნენ, რომმა როგორ გამოიყენოს იუდეო-ქრისტიანობა.

14.

ავგუსტუსი. ასე მეჩვენება, რომ შენ უკვე იცი, რაც უნდა გაკეთდეს.

ფესტოსი. მე ვიცი, ავგუსტუს, მაგრამ მე რომში არა ვარ! მე ამ მიყრუებულ  
იუდეაში გამომკეტე, ქვეყნიერების ჩიხში – შენი ადგილი იქ არისო.

ავგუსტუსი. მე ძლიერ მეტადა, სირიაში ყოფილიყავ იმპერატორის ნაცვალი,  
მაგრამ... ფესტოს, მე აქ იმპერატორის დავალებით ჩამოვედი, და სხვა საკითხე  
საუბრის დრო არა მაქვს. რა უნდა მისცეს რომს იუდეო-ქრისტიანობამ, რაში  
გამოგვადგება?

ფესტოსი (თითქოს ხმამაღლა ფიქრობს). დრო უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე  
ღრუბელი იცვლის საბინადროს, ღრუბელი ზოზინაა, დრო -- სწრაფმავალი.

ავგუსტუსი. დროს რომი მართავს, რომია დროის გამგებელი.

ფესტოსი მაგრამ, დღეს ქვეყნიერებას იერუსალიმი უცვლის სახეს, იუდეო-  
ქრისტიანები ახალ სამყაროს უდებენ სათავეს და რომმა უნდა მონახოს...

ავგუსტუსი (უკმაყოფილებას არც მალავს). როგორ შეიძლება ბარბაროსებმა შეც-  
ვალონ დრო, სამყარო!

ფესტოსი. იუდეო-ქრისტიანობა აღმოსავლეთ-დასავლეთს მოედო. დააკვირდი, ავგუს-  
ტუს: ჩვენ უზარმაზარი არმიით ვიპყრობთ ქვეყნებს და ადამიანები ჩვენი ორგულნი,  
მტრები ხდებიან -- ზელოტები ყოველ წუთს მზად არიან ყელი გამოს-ჭრან  
რომაელებს. იუდეო-ქრისტიანებმა კი ისეთი იარაღი მოიგონეს...

ავგუსტუსი. ებრაელებმა! ეგეც ებრაელებმა მოიგონეს, ეგენი რყვნიან ხალხებს!

ფესტოსი. იუდეო-ქრისტიანები არა ქვეყნებს, ადამიანთა გულებს იპყრობენ.

ავგუსტუსი. ებრაელები, ებრაელები აკეთებენ ამას, ეგენი უნდა ამოვგირკვოთ  
თავიანთ იუდეო-ქრისტიანებთან ერთად.

ფესტოსი. ვერაფერს გავხდებით, ეგ იუდეო-ქრისტიანობა უხილავია და უხორცო.  
პირიქით ხომ არ აჯობებდა, ავგუსტუს: რახან ეგ იდეა აღმოსავლეთშიც მივიდა და  
დასავლეშიც, მდიდარსაც აერთიანებს და არასმენესაც, დიდსაც და პატარასაც,  
იქნებ, ხელიდან გამოვგლიჯოთ ებრაელებს, იუდეო-ქრისტიანებს -- მაგ იდეით  
რომმა გააერთიანოს ქვეყნიერება.

ავგუსტუსი (ბრაზით). რას ამბობ, ფესტო!

ფესტოსი. რომმა იქადაგოს ახალი რწმენა, რომი წარუმღვეს ახალ იდეას, ამით  
ადამიანები რომის დროშის ქვეშ დადგებიან, ქვეყნიერება კი ადამიანებისაგან  
შესდგება.

ავგუსტუსი (ქალაქს გადასცექრის). არა, არც ისე ჭუჭყიანი ქალაქია, რატომ, რით  
არის ცუდი ქალაქი?! აქ ბევრი კარგი რამ არის. აი, მზე როგორ აცისკროვნებს  
გარემოს, ნიავიც როგორი ქრის... რომში ამ დროს ძლიერ ცხელა.

ფესტოსი (ირონიით). ალბათ, ჩემო ავგუსტუს, ალბათ! თან აქ იმდენი საინტერესო  
რამ ხდება...ხვალინდელი მსოფლიო აქ იბადება.

### დაბნელება

უძველეს იერუსალიმში ბევრი მოედანი იყო, მაგრამ ტაძართან ახლო მდებარე  
პალმებიანი და ჩრდილოენილი მოედანი ყველა დანარჩენისაგან გამოირჩეოდა -- ამ  
მოედანზე იყრიდნენ თავს სხვადასხვა წარმომავლობის, შეძლებისა, თუ ასაკის  
ადამიანები. მოედანზე ხალხმრავლობაა.

ორი სასულიერო პირი -- მოხუცი რაბინი და კულულებიანი ყმაწვილი სცენის სიღრმიდან ავანსცენისაკენ მოემართება. ერთმანეთს ეკამათებიან, ედავებიან.

რაბინი. რახან ჩემი არ გესმის, მაშინ ეს მითხარი, რა აზრი აქვს მოწყალების გაცემას? მითხარი, რას ნიშნავს მოწყალების გაცემა?

კულულებიანი (აუჩქარებლად, დინჯად). თუ ადამიანი მოწყალებას დაუშურველად გასცემს, ამით იგი ღვთის მიერ ჩვენთვის ბოძებულ ათივე მცნებას ასრულებს.

რაბინი. ქენ, ავალ ლო, ქენ, ავალ ლო! დიახ, მაგრამ არა! დიახ, მაგრამ არა!

15.

ასეა, მაგრამ... რაო, აღარ არის აუცილებელი უყვარდეს მოყვასი? გასცეს მოწყალება და მორჩა?

კულულებიანი. მოწყალებას მხოლოდ ის გასცემს, ვისაც სიყვარული და თანაგრძნობა ძალუმს.

რაბინი (უცებ). უანგარო სამსახური?

კულულებიანი. ვისი?

რაბინი. რახან მაგას მეკითხები, არ გცოდნია, რა არის უანგარო სამსახური.

კულულებიანი. მოწყალება მხოლოდ ცოცხალთ სჭირდებათ, უანგარო სამსახური კი ცოცხლებსაც და მკვდრებსაც.

რაბინი (დუმს. ფიქრობს). ქენ, ავალ ლო... ქენ, ავალ ლო! ეგრეა, მაგრამ არ არი ეგრე... ეგრეა, მაგრამ არ არი ეგრე... აბა, დაფიქრდი.

კულულებიანი. შენ არ გითქვამს ვისი სამსახური -- ცოცხლისა, თუ მკვდრისა? უანგარო სამსახურის გამწევსაც შეუძლია მიიჩნიოს, რომ ღვთის ათივე მცნებას ასრულებს.

რაბინი (მზერაში იჭვი უსახლდება, ხმადაბლა, თითქოს ფიქრობს). ქენ, ავალ ლო, ქენ, ავალ ლო. დიახ, მაგრამ არა... არა, მაგრამ კი... მაშინ, მაშინ ის მითხარი, მოწყალების გაუცემლობა რა არის?

კულულებიანი. ის, ვინც მოწყალებას არ გასცემს, კერპთაყვანისმცემელია. ახლა მე მაქვს კითხვა, რაბი. (რაბინი გამომცდელად შესცერის კულულებიანს.) ჩვენი ხალხი სულ მოწყალებაზე, სულ უანგარო სამსახურზე რატომ ლაპარაკობს?

რაბინი. კარგად დაიმახსოვრე: სამყარო სამ საყრდენზე დგას.

კულულებიანი. პირველი: სწავლა, მეორე: ღვთის სამსახური, მესამე: ქველმოქმედება. რას ნიშნავს ქველმოქმედება? ქველმოქმედებას ეწევა მხოლოდ ის, ვისაც თანაგრძნობა და ადამიანის სიყვარული შეუძლია.

რაბინი. ქენ, ქენ! მართალი ხარ! გცოდნია! თუ ხალხს, ან ადამიანს ერთი ამათგანი მაინც აკლია? (მასწავლებლისა და მოწაფის მზერა უიმედობას, უპერსპექტივობას გამოხატავს.) დღევანდელ იუდეაში რა ხდება? იუდეას დღეს რომელი ამათგანი აკლია?

### ხანგრძლივი დუმილი.

კულულებიანი. სიყვარული!

რაბინი. ვერ გავიგე. რას ამბობ!

კულულებიანი. სიყვარული, ადამიანის მიერ ადამიანის სიყვარული, რაბი!

რაბინი. (მყის სხვა თემაზე გადააქვს საუბარი). მითხარი, ჩქარა მითხარი, ისე როგორც შენ ამბობ ხოლმე -- სხაპა-სხუპით. რა ბრძანა რაბი ელაზარმა?

კულულებიანი. ეგ რომელი? რაბი ელაზარი რომელია?

რაბინი. ის, რომელმაც თქვა, რომ...

კულულებიანი (ფიქრობს). რაბი ელაზარი, ის, რომელმაც თქვა, რომ... დაუშურ-ველი მოწყალება და უანგარობა გადაარჩენს ისრაელს. მოწყალების გაცემა და უანგარობა შველის გაგებას მამაზეციერსა და ისრაელს შორის.

რაბინი (მხიარულად შესძახებს). ყოჩალ, ყოჩალ, ყოჩალ! შენ მალე შეგიძლია რაბი გახდე. ერთი წვერ-ულვაში ამოგივიდეს!

გარბიან. ავანსცენაზე შეკრებილი ადამიანებს შეუერთდებიან ავანსცენაზე კი

### რეჩიტატივით მღერიან:

ღმერთო, გვაწვიმე წვიმა,  
ღმერთო, არ არის წყალი,

16.

უკვე მესამე წელია,  
მიწას სწყურია ნამი,  
უკვე მესამე წელია  
არ არის მოსავალი.

რაბინი (ასევე წამლერებით). მორიდ ატალ, მორიდ ატალ,  
მიწას გაუღია პირი—  
მორიდ ატალ, მორიდ ატალ,  
უბეში ჩაუყოფ ხელს.

ყველა ერთად:  
გარდმომდენო ნამისაო,  
მომცემო მოსავლისაო,  
წყაროვ სიცოცხლისაო.  
მოსავალი მოგვეც,  
მოგვეც!

ხეიბარი (გაბრაზებული ასძახის ზეცას). უდაბნოში ხომ მოგვეც ლუკმა, ხომ  
გვიშველე შენს შვილებს. ახლა რისთვის დაგვივიწყე, ქანაანი წალკოტი გგონია?  
დაგავიწყდა რა მიწაზე დაგვასახლე?

კულულებიანი. ასე რატომ ყვირი? როცა საჭიროა, ჩურჩულით ნათქვამიც ესმის.  
თუ საჭირო არ არის, იმდენი იყვირე, რამდენიც გწადია.

ხეიბარი. აბა, რა ვქნა. რა გზას დავადგე!

ადამიანების ჯგუფს მონობაზი გამოეყოფა. თან სკივრი მოაქვს.

მონობაზი. აქეთ, აქეთ, ადამიანებო, მოდით!

მმა. ახლა რა გინდა... კიდევ რა მოიფიქრე!

რაბინი. ეს ვინ არის?

პრანჭია ქალი. მონობაზი, მონობაზ გადოლი!

რაბინი. გადოლი ვინ შეარქვა და რატომ?

პრანჭია ქალი. ხალხმა. რაცა აქვს, ყველაფერი ხალხისთვის უნდა.

მონობაზი. აქეთ, აქეთ, ადამიანებო, მშიერნო, მწყურვალნო, ჩემკენ!

მმა. რა გინდა, რა განგიზრახავს!

მოხუცი ქალი. აი, მოვედი, მონობაზ, აქა ვარ!

მონობაზი. შვილი გყავს?

მოხუცი ქალი. მყავდა, ფილისტიმელთან ბრძოლაში დაიღუპა.

მონობაზი. ერთი გყავდა?

**მოხუცი ქალი.** მეორე მეზობელმა მომიკლა, ჩემს ცოლს რატომ გაუცინეო, ცული ჩასცხო თავში.

**მონობაზი.** ორი გყავდა?

**მოხუცი ქალი.** მესამეც ფილისტიმელს შეაკვდა. ფილისტიმელნი დაგვესხნენ თავს. ამან სძლია, ის გარბოდა. ეს გაეკიდა. გაქცეულ მტერს უნდა მისდომ?! გაქცეული მტრის ცქერით უნდა დატკბე. რა სჯობია, იმის ცქერას, თუ როგორ გარბის მტერი! ეს კიდევ დაედევნა. ფეხი აერია, დაებორკა, გადაყირავდა. იმ ქვას დაარტყა თავი, რომელიც იქ იმისთვის დავარდა, რომ მას თავი დაერტყა. არ აიცდინა და სულიც იქვე დალია.

**მონობაზი** (სკივრიდან ნივთს ამოიღებს). აპა, ეს წაიღე, კი არ შეინახო, სახლი კი არ დაიმშვენო, პური და ზეთისხილი იყიდე, თავი გადაირჩინე.

**მოხუცი ქალი.** მეოთხეცა მყავდა.

**მონობაზი.** წადი, ღმერთმა დაგიამოს!

**მოხუცი ქალი მიდის**

**ძმა** (ძლიერ შეწუხებული). რას შვრები, ძმაო, ჩვენი მამა-პაპა ამ განძს ასწლეულობით აგროვებდა, ფულს ნივთად აქცევდა და თაობიდან თაობას გადასცემდა.

17.

შენ არაფერს არ ამატებ.

**მონობაზი** ის, ვინც მოწყალებას არ გასცემს, კერპთაყვანისმცემელია. ახლა მე მაქვს კითხვა, რაბი. (რაბინი გამომცდელად შესცქერის კულულებიანს.) ჩვენი ხალხი სულ მოწყალებაზე, სულ უანგარო სამსახურზე რატომ ლაპარაკობს?

**რაბინი.** კარგად დაიმახსოვრე: სამყარო სამ საყრდენზე დგას.

**კულულებიანი.** პირველი: სწავლა, მეორე: ღვთის სამსახური, მესამე: ქველმოქმედება. რას ნიშნავს ქველმოქმედება? ქველმოქმედებას ეწევა მხოლოდ ის, ვისაც თანაგრძნობა და ადამიანის სიყვარული შეუძლია.

(აწყვეტინებს). ვამატებ და მერე როგორ... თუ დააკვირდები, ისე ვამატებ რომ...

**ძმა.** აბა, რას ამბობ, განა არ ვხედავ... ქუჩა-ქუჩა ფანტავ, ანიავებ.

**მონობაზი.** აქ შენი წილი არის?

**ძმა** (შეშფოთებული). ჩემს წილთან შენ რა ხელი გაქვს, ჩემს სკივრშია, ჩემი სკივრს კი უცხო თვალი ვერ მისწვდება. მე არ შემიძლია ვუყურო, როგორ ანიავებ მამა-პაპის მონაგარს.

**მონობაზი.** ისინი ამ ქვეყნისთვის აგროვებდნენ, მე კი ხალხს ვაძლევ, ამით მომავალი, იმ ქვეყნისთვის ვაგროვებ. (ხალხს გასძახის.) მოდით, ადამიანებო, მოდით!

**ზეიბარი** (მონობაზს უახლოვდება). ღმერთმა უდაბნოში ხომ დაგვაპურა. ახლა რისთვის დაგვივიწყა? შვილებად აღარ ვუნდივართ?

**მონობაზი.** ღმერთი იმას ივიწყებს, ვინც ის დაივიწყა. (სკივრიდან ნივთს ამოიღებს.) წადი, კი არ შეინახო, გაყიდე, პური, ზეთისხილი იყიდე და თავი გადაირჩინე.

**ძმა** (სასოწარკვეთილი). რას შვრები-მეთქი, ძმაო, რატომ ანიავებ ქონებას!

**დედაკაცი.** მიშველე, დიდო მონობაზ, შიმშილით სული მხდება, იქნებ, რამე მიწილადო?

**მონობაზი.** შვილი ხომ გყავს?

**დედაკაცი.** შენ ხარ ჩემი შვილი. ერთი კვირაა პირში ლუკმა არ ჩამსვლია.

**მონობაზი.** ქმარი თუ გყავს?

**დედაკაცი.** მყავს, როგორ არა მყავს!

**მონობაზი.** მაშ, შვილს წინ რაღა დაუდგა?

**დედაკაცი.** იმდენი ძალა უნდა, იმდენი ჯაფა მოსდევს, აბა, მე მაგოდენი ვინ მომცა? თავს ხომ არ გადავაყოლებდი!

**მონობაზი.** ნურც ახლა შეწუხდები, ხომ ხედავ, როგორ ცხელა. სახლში წადი, ჩრდილს შეაფარე თავი.

**დედაკაცი.** სახლში მმიერი ვიჯდე?

**მონობაზი.** შენ ქვეყანას თავი ამჯობინე!

**დედაკაცი.** ახლა რომ გვშია? მეც და ჩემს ქმარსაც გვშია.

**მონობაზი** (ჯიბიდან წვრილ ფულს ამოიღებს). სიყმაწვილეში რომ ზარმაცობდით? აპა, ეს იკმარე.

**ძმა.** შენ მაგათ ვერ დააძლებ, ვერც მოიმადლიერებ... მამა-პაპის დანატოვარ ქონე-ბას კი გაანიავებ.

**დედაკაცი.** ეს რა არის? ამისთვის გეახელ? (ხურდა ფულს მონობაზს ფეხებთან მიუყრის).

**ძმა.** აპა, ამას აგროვებ?

**მონობაზი.** ჩემი წინაპრები იქ აგროვებდნენ, სადაც ქურდობდნენ. მე კი იქ ვაგროვებ, სადაც ქურდობა არ არის.

**ძმა.** ასეთი ადგილი არ არსებობს. თუ არ იქურდა, ვერავინ ვერ იცხოვრებს. შენ გგონია, მხოლოდ ფულს იპარავენ? სიტყვის ქურდობა? იცი სიტყვის ქურდობა რა არი? ეგ არი ყველაფერი! ან აზრის ქურდობა! წარსულსაც ქურდობენ, ადამიანები წარსულსაც ჰპარავენ ერთმანეთს.

**კულულებიანი** (მონობაზთან მოდის). დამეხმარები?

**მონობაზი.** რამდენი წლისა ხარ?

**კულულებიანი.** ჩვიდმეტი წლის ვარ და იმას გსწავლობ, რის სწავლასაც ღმერთი ჩაგვაგონებს.

**მონობაზი.** ჩვიდმეტი წლის! წადი, გამეცალე!

**კულულებიანი.** ვის წავართვა?

18.

**მონობაზი.** არავის არ წაართვა, იშოვნე!

**კულულებიანი.** ყველა მშიერია. სამი წელია მოსავალი არ მოსულა. შენც ხომ შენს ნაშოვარს არ არიგებ. აბა, წადი, იშოვნე და ის დაარიგე. მთავარი შოვნაა და არა დარიგება.

**მონობაზი.** მე ამ დარიგებით ვშოულობ. ეს ყველაფერი იმქვეყნად მომცემს ნაყოფს, მომავლის სამყაროში.

**კულულებიანი.** საიქიოში?

**მონობაზი.** (სკივრიდან ნივთს ამოიღებს, აძლევს). თუ გავიგე, რომ ვინმეს წაართვი, მოგნახავ და პასუხს მოგთხოვ. წაიღე. გაყიდე, პური და ზეთისხილი იყიდე, თავი გადაირჩინე.

**კულულებიანი.** ღმერთმა ინებოს შენი მოპოვებულითაც მოგეპოვებინოს სულიერი საგანძურო. (მიღის).

**მონობაზი.** მოიცა! (დედაკაცზე მიათითებს). აი, იმ ქალს ხომ ხედავ, ის კაცი მეუღლეა მისი.

**კულულებიანი.** ვხედავ, კი.

**მონობაზი** (სკივრიდან ნივთს ამოიღებს). აი, ეს იმათ წინ ისე დააგდე, ვითომ დაგივარდა, დაკარგე, ოღონდ ისე, რომ უსათუოდ იპოვნონ, უნდა იპოვნონ. მიღი!

**კულულებიანი.** ვნახოთ! (მიდის).

**მონობაზის** წინ მომხიბლელი გოგონა შედგება. უხმოდ დგას.

**მონობაზი.** ჰო, გისმენ!

**გოგონა.** მოხვალ ჩემთან? (დუმილი. მონობაზი გაკვირვებული შესცერის.)

დაგელოდები. (დუმილი.) თუ გინდა, მე მოვალ, სადაც მეტყვი, იქ მოვალ.

**მონობაზი.** რატომ უნდა მოვიდე შენთან?

**გოგონა.** მოდი და წიაღს გადაგიშლი. (დუმილი.) სხვა რა ვქნა?

**მონობაზი** (ერთხანს დაბეჯითებით შესცერის). არასოდეს. მე შენთან არასოდეს არ მოვალ. (დუმილი.) მე საიმქვეყნიო განძს ვაგროვებ.

**გოგონა.** მაშ, ისე დამეხმარები?

**მონობაზი** (ვერაფერი გადაუწყვეტია).... საიდან მოდიხარ... ვინა ხარ...

**გოგონა.** გალილეიდან. მშობლები იმქვეყნად გადასახლდნენ, იერუსალიმს ჩამოვედი, აქ უფრო იოლიაო ცხოვრება... უამრავი ხალხი ირევა. ერთ სადუკეველს დავუდექი. სახლს ვულაგებდი.

**მონობაზი.** სადუკეველნი მდიდარნი არიან. მდიდართაგან უმეტესი ლარიბია.

**გოგონა.** ეგ როგორ... მდიდარი ლარიბი როგორ არი?

**მონობაზი.** მდიდარი ის არის, ვისაც გაჭირვებული ახსოვს და აპურებს.

**გოგონა.** ყველა მეუბნება, თუ წიაღი არ გადაუშალე, ლუკმას არავინ გამოგიწოდებსო. ლუკმის მუშტით, სისხლილვრით მოპოვება უფრო დიდი ცოდვაა, თუ წიაღის გადაშლით?

**მონობაზი.** ისიც ცოდვაა და ისიც, რამდენს გადაუშალე წიაღი?

**გოგონა.** ვერც ვერავის. ლუკმა მქონდა. ახალმთავრობის შემდეგ ვარ ეგრე... ორს შევთავაზე მოვალ, გინდა, თავად მოდი-მეთქი. უარი მითხრეს.

**მონობაზი.** ორმა უარი გითხრა? ორმა სისხლაჩქაფებულმა ჭაბუკმა?

**გოგონა.** ერთს კი უდუღდა სისხლი... მეორესაც... შენი ხნისა იქნებოდა, შენ მესამე ხარ. იქნება, რამე არ მივარგა? გალილეაში გოგოები შურით სკდებოდნენ -- ძალიან ლამაზი ხარო.

**მონობაზი.** გამოდის, რომ დღეს ამ ქალაქში სამი მართალი კაცი ცხოვრობს?

**გოგონა.** იქნებ, მეტიც. მე ახალმთავრობის მერე გამიჭირდა...

**მონობაზი.** შენ გგონია, სამი მართალი ცოტაა?! თუ ამ ქალაქში თუნდაც ათი

19.

მართალი ცხოვრობს, გადავრჩებით. შენ კარგის მაუწყებელი ხარ.

**მმა.** და შენ გინდა ჩემი მამა-პაპის მონაგარი იმათ გაუნაწილო, ვინც წიაღის გადაშლას არ თაკილობს, ლუკმა-პურს ამით შოულობს? რა ვქნა, ჩემს ძმას რით ჩავაგონო, მამა-პაპის განძეული არ გაანიავოს?

**მონობაზი.** აი, ხომ ხედავ, ძმაო, ამ ქალაქში რამდენიმე მართალი ყოფილა. უნდა შევაგროვო, უნდა შევაგროვო საიმქვეყნიო განძი. (სკივრს ხელს დაავლებს და გარბი. გოგონას). მომყევი!

**ავანსცენაზე კვლავ რეჩიტატივით მღერიან:**

ღმერთო, გვაწვიმე წვიმა,  
ღმერთო, არ გვაქვს წყალი,  
უკვე მესამე წელია  
მიწას წყურია ნამი,  
უკვე მესამე წელია,

რაბინი:

მორიდ ატალ,  
მორიდ ატალ,  
სილა გვეყრება პირში,  
მორიდ ატალ, მორედ ატალ,  
მოგვეც სიცოცხლე ჩვენ!

კულულებიანი (სოლო, რაბინული სიმღერით).

მოგვეც სიცოცხლე ჩვენ.

დანარჩენთ მოუბრუნდება, ანიშნებს. ყველა ერთად:

გარდმომდენო ნამისაო,  
მომცემო მოსავლისაო,  
წყაროვ სიცოცხლისაო,  
მოგვეც მანა( პური)ჩვენ!

მოხუცი. აღარ უნდა, აღარ სურს, უდაბნოში დაგვაპურა, ახლა არაო!

მანდილოსანი. იუდეის თავს რა არ ყოფილა, რა არ მსმენია, მაგრამ ამდენი უწყლობა...?

პრანჭია ქალი. შენ იმ ხნისა ხარ, ყველაფერი დაგეჯერება. გამოდის, რომ არასოდეს არ ყოფილა.

მანდილოსანი. რაბი იშაია წიგნებს ჩაუჯდა, იქნებ, იმის მიზეზს მივაგნო, რაც ჩვენს თავს ხდებაო. არიელიც, ახალშერთულ ცოლს გაეცალა, მიზეზს დაეძებს.

პრანჭია ქალი. იმ ქალისგან გაცლა უნდოდა, თორემ არიელი რისი მიმგნებია.

მოხუცი (ნატვრით, წამლერებით). მაშიააახ, მაშიააახ, მაშიააახ!

მოხუცი ქალი. სადა ხარ, მესიავ, სად? მააშიააახ!

ნათანი. აქ იყო, ჩვენს შორის იყო, ვერ შეიცანით და გიკვირთ, რისთვის გვსჯის ღმერთი!

ჭაბუქი. უსიყვარულობის გამო გვიბრაზდება. ასე უმიზეზოდ რატომ გძულთო ერთმანეთი.

პრანჭია ქალი. ეგ მე არ მეხება. მე ყველა მიყვარს.

მანდილოსანი. შენ ყველა კი არ გიყვარს, ყველას ეკუთვნი.

პრანჭია ქალი. გესმით, რას მეუბნება? ხომ გაიგონეთ, რაც მითხრა!

მოხუცი. ჭირნანახი ქალია, ბევრი რამ დაეჯერება.

პრანჭია ქალი. რა ნახა, რა იცის ასეთი, როგორ არ გრცხვენია!

იოხანანი. იწამეთ ახალი ღმერთი, ჩვენი ღმერთი!

20.

მოშე. ის, ვინც ახალ ღმერთს იწამებს, სამოთხეში იმკვიდრებს ადგილს.

მოხუცი. აპა, სამოთხეშიო! გამოჩნდა შვება. მიდით, მიდით და პირდაპირ სამოთხეში ჩასკუპდებით!

მოშე. რატომ იმქვეყნიურ ცხოვრებაზე არ ფიქრობთ, ხალხო, რატომ არ ემზადებით ახალი სიცოცხლისათვის. ოლამ ჰაზე მთავრდება, იწყება ოლამ აბა.

პრანჭია ქალი. რა დროს მომავალზე ფიქრია, დღევანდელით მაცხოვრე ჯერ.

იოხანანი. მერე გვიან იქნება, ძალიან გვიან!

პრანჭია ქალი. კარგით რა, მაცალეთ, მათქმევინეთ! (მოხუცს.) მაშ, შენ ამას კვერს უკრავ? მაშ, მე ყველას ვეკუთვნი? აი, შენ როდის გეკუთვნოდი?

**ზეიბარი.** როცა არაფრის თავი არა აქვთ, სხვებზე ასე ლაპარაკობენ. მოდი, ერთი კარგად დავცხოთ და ჭკუა ვასწავლოთ.

**მოშე.** სიყვარული, მომეთა სიყვარული!

**ზეიბარი** (პრანჭია ქალს მანდილოსანზე). სიმართლე თუ გინდა, ყველაფერი ამის მოწყობილია. შენზე ისეთ რამეებს ლაპარაკობს... ახალგაზრდა და ლამაზ ქალს მტრობს.

**მანდილოსანი.** სად არიან ახალგაზრდა და ლამაზი ქალები. აქ ვერავის ვხედავ.

**პრანჭია ქალი** (გაჰკივის). რას ამბობ, დედაკაცო, თვალი გაახილე!

**მანდილოსანი.** აპა, იქით მივიხედე, აქეთ მოვიხედე, აი, თვალები დავჭყიტე, მაგრამ სად არიან?

**ჭაბუკი.** მიდით, მიდით, ეგრე!

**მოხუცი.** შენ რა -- ხალხს დასცინი?!

**პრანჭია ქალი.** შენი დასაცინი აქ ვინ არის -- ხომ არ დაგავიწყდა, ანგელოზს რომ მაღარებლი?!

**ჭაბუკი.** ასეთი რამ არ მაგონდება!

**პრანჭია ქალი.** დაგავიწყდა? არც ის გახსოვს, ახლოს რომ არ გიკარებდი?

**გოგონა** (ჭაბუკს). ეს ქალი რას ამბობს?!

**პრანჭია ქალი.** მიდი, მიუწექი, მაგრამ რა აზრი აქვს, ვერაფერს გაიგებ -- ნახევარი თითის ოდენაც არა აქვს.

**გოგონა.** ასე როგორ იქნება. კაცთან ასე ლაპარაკი შეიძლება?!

**პრანჭია ქალი.** კაცი, სად არის კაცი!

**გოგონა** (ჭაბუკს). ამასთან იწექი? ამასთან რამ დაგაწვინა!

**ჭაბუკი.** სიცოცხლეში ერთხელ ჭაობში ყოველ კაცს გაუვლია.

**პრანჭია ქალი.** ვინ არის ჭაობი, რომელ ჭაობში გაიარე, შე ნახევართითა, შენა!

**ზეიბარი.** მე კი მეგონა, ქალისა და კაცის ერთად ყოფნა ცაში ფრენასავით იყო - - დაფრინავ ცის ლაუგარდში...

**პრანჭია ქალი** (გოგონას). მიდი, წაიყვანე, ის ნახევარი თითის ოდენა სულ ხელში გეჭიროს, თორემ, თუ გაგებნა, ვეღარც იპოვი.

**ნათანი.** აი, რა დღეშია იუდეა -- ჭეშმარიტი ღმერთისადმი ზურგისქცევამ სად მიიყვანა!

**იოხანანი.** უნდა შეიყვაროთ მტერი თქვენი. როცა თქვენსავე მტერს შეიყვარებთ, იუდეაში სიყვარულის სუფევა დამკვიდრდება.

**ჭაბუკი.** რაო, რა თქვი?

**ზეიბარი.** ეს ჭაბუკი რაღაცას გვეუბნება.

**მოშე.** ეს ჭაბუკი სიყვარულს ჩაგდახით. თქვენივე მტერი შეიყვარეთო.

**პრანჭია ქალი.** ეგ როგორ, ეგ როგორ იქნება!

**მანდილოსანი** (იოხანანს). აბა, რას ამბობ, გიჟი ხარ? საიდან მოსულხარ!

**ზეიბარი.** ალბათ, შევეშალა. მტერი კი არა, მოყვასი უნდა გიყვარდეს.

**ნათანი.** არა, არა, არა! მოყვასი ხომ ისედაც შენს გულშია. ვაჟკაცობა მტრის სიყ-

ვარულია. იუდეის აბურდულ, მტრობით, სიძულვილით დამახინჯებულ ცხოვრებას სწორედ ეგ შეცვლის, ეგ დაგვიბრუნებს მშვიდობისა და სიყვარულის სუფევას.

**ზეიბარი** (ნათანს). აბა, თვალებში ჩამხედე! ჩამხედე, ჩამხედე, თვალს ნუ მარიდებ.

**ნათანი.** გიყურებ, კეთილო მოხუცო!

**ზეიბარი.** პო, ეგრე, ეგრე... უფრო ახლოს მოდი, ჭოტივით ნუ დაგიჭყეტია თვალები.

**იოხანანი.** ჭეშმარიტად, მტრის სიყვარული მოიტანს მშვიდობის, ერთიმეორის გატანის, სიყვარულის სუფეგას.

**ჭაბუკი.** ეგ როგორ, რომაელი ხომ ჩემი მტერია!

**გოგონა.** რომაელები მიყვარდეს? დამპყრობელი შევიყვარო? იუდეის გამპარტახე-ბელი?

**მოშე.** როცა შენს გულში მთავარ ადგილს ღმერთი დაიჭერს, როცა სათნო-ებით აღივსები, რომაელს ვერც შეამჩნევ.

**ზეიბარი.** მაშ... მაშ, შენ რომაელთა სიყვარულსაც ჩაგვძახი?

**იოხანანი.** ყოველი ადმიანისას, ჩვენი ღმერთი ყოველი ადამიანის სიყვარულს...

**ზეიბარი** (გულიანად ახარხარდება, ისე გაუგრძელდება, რომ ყურადღებას მიიპყრობს). აუ, რას გვაცურებენ, ისრაელებო, ააუუ, რას... გვატყუებენ. მაშ, აქედან რა გამოდის: ის შევიყვარო, ვინც მირტყამს? იუდეო-ქრისტიანები რომაელთა დამცველნი ხართ და მეხოტბენი!

**მოხუცი.** რაო, რაო? ერთი მიმიშვით მაგათთან! აბა, ერთი გამაგონეთ, ვინ უნდა შევიყვარო!

**იოხანანი** (თავმოდრეკილი კაცის ინტონაციით, დინჯად). მტერიც კი შეიყვარე შენი, თუ კაცმა ყბის მარცხენა მხარეს გაგარტყა, შენ მარჯვენა მიუშვირე.

**ზეიბარი** (აგდებულად). მე რომ ახლა გაგარტყა, შენ მარცხენა ყბას მომიშვერ?

**იოხანანი.** იქნებ, ღვთის სიყვარული ჩასახლდეს შენს სულში და ჰპოვო ჭეშმარიტება ყოფიერებისა.

**ზეიბარი.** მაშ, ეგრე? (ხელს ასწევს, იოხანანს დარტყმას უპირებს).

**იოხანანი.** მე მაინც მახსოვს, რომ შენ ძმა ხარ ჩემი.

**ზეიბარი** (აგდებულად). რაო, რაო, რაო? რა სისულელეს როშავ!

**იოხანანი.** ძმა ხარ-მეთქი ჩემი და მიყვარხარ, როგორც ძმა.

**ზეიბარი** (შემდრკალი, დამუნათებული დაუშვებს ხელს). ეგ მცნება ხომ მოშემ ჩამოგვიტანა სინაის მთიდან. მოყვასი გიყვარდესო.

**ელცაფანი.** რისთვის კამათობთ, ისრაელიანებო, ნუთუ, ვერ ხედავთ, ღმერთმა როგორ მიივიწყა იუდეა. უნდა ვეძებოთ ახალი გზა. გადარჩენის გზა. დადგა უამი იუდეა ახალ გზას დაადგეს!

**ესთი.** ეს კაცი იოხანანივით ლაპარაკობს.

**იოხანანი.** თუ იუდეა ახალ გზას არ დაადგება, ეს ქვეყანა აღარ იქნება.

**ესთი.** იოხანან, რას ამბობ, იოხანან!

**იოხანანი.** სწორედ ეგრეა. თუ იუდეო-ქრისტიანთა შორის არ ჩაეწერებით, იუდეას მომავალი არა აქვს.

**ელცაფანი.** ჩვენი ღმერთის გზა. ეს არის ჭეშმარიტების გზა.

**მოხუცი** (გალიზიანებული), დააკვირდი, რას ჩასძახით ამ ხალხს!

**ჭაბუკი.** ვინ ხარ შენ?

**ელცაფანი.** მიმდევარი ძისა ღმერთისა ჩვენისა -- იეჟუა ნაზარეველისა. იუდეო-ქრისტიანი.

**ზეიბარი.** ზეიბარი ვარ, მაგრამ იერუსლიმის ყოველი უბანი, ყოველი კუთხე-კუნჭული ათგზის შემომივლია. ბევრს ვიცნობ. შენ კი არასოდეს მინახიხარ. არც

**ელცაფანი.** მაგრამ ვარ იუდეველი, იუდეის ცისქევეშ დაბადებული, იუდეის მზით დამწვარი. ბეთლეხემში გაზრდილი. იოშუას დავდევდი, მის ქადაგებებს ვისმენდი, იერუსალიმში რომ ფესახის წინ სახედრით შემოვიდა, მის გვერდით ვიყავ, მოვდევდი.

**მოხუცი** (აწყვეტინებს). გესმით, ეს კაცი რას ამბობს?! რატომ ხმას არ ამოიღებთ, ხალხნო, რატომ არ ეტყვით, რომ გზას ასცდენია.

**ხეიბარი.** ქვები, ქვები მოზიდეთ, ჩაიქოლოს!

**პრანჭია ქალი.** რატომ უყვირით, რა ამბავი გაქვთ!

**მოხუცი.** სწორია, სხვა გზა არ არის -- ჩავქოლოთ და ამით გავაჩუმოთ.

**ელცაფანი.** მე აქა ვარ, ძმებო, ტანჯვით სიკვდილი მაუწყებელია იმისა, რომ ჩემი რაბის -- იოშუას გზას დავადგები. თქვენ კი გონის მოხვალთ თუ არა, იწამებთ ჭეშმარიტ ღმერთს. ეს იქნება ტანჯვით სიკვდილის სანაცვლო.

**მონობაზი.** გამაგებინეთ, რატომ არ ისვენებთ, ხალხნო, განა არ დადგა დრო მშვიდად, ჩვეულებრივად ვიცხოვროთ, ისე, როგორც სხვა ერები ცხოვრობენ? სულ ქვევრში მბორგავი, მფეთქავი მაჭარივით ხომ არ ვიქნებით? ღმერთმა ეგვიპტიდან გამოგვიყვანა, ათასი ფათერაკისგან გვიხსნა -- ზღვაც გააპო ჩვენთვის, ფარაონიც თავისი ეტლებითურთ შიგ მოაქცია, უდაბნოშიც გვიპატრონა, დაგვაპურა. მცნებანი მოგვცა. ჩვენ ქვეყნიერების გასაგონად ვთქვით, „ვღებულობთ და შევასრულებთ“.

**პრანჭია ქალი.** გიყვარდესო მოყვასი შენი!

**მანდილოსანი** (ხაზგასმით). არა იმრუშოო!

**პრანჭია ქალი.** გიყვარდესო მოყვასი შენი, ხომ თქვა, გიყვარდესო!

**მონობაზი.** ქვეყნიერებას ღვთისადმი სამსახურის მაგალითი მივეცით. ახლა კი თქვენ მოდიხართ და გვეუბნებით: ჩვენს გვერდით დადექითო.

**მანდილოსანი.** მოგვეცით შვების უფლება, სული მოითქვას ხალხმა.

**ელცაფანი.** განა უცხონი ვართ, განა სხვათაგან ვშობილვართ. ვიდრე იუდეო-ქრისტიანები გავხდებოდით, თქვენებრ გაგვივლია წინადაცვეთა და დღეში სამჯერ თქვენებრ გვილოცნია ადონაის სახელზე, ისევე, როგორც უფალსა ჩვენსას იოშუას. ჩვენ მივხვდით და თქვენც ჩაგდახით: ძე ღმერთისა უნდა იწამოთ, ჩვენი ღმერთი -- ძე მამა ღმერთისა.

**ესთი.** რატომ, ჩვენს ღმერთს, რომელმაც მოგვცა მცნებანი, მოგვცა ქანაანი სამუდამო სამშობლოდ, რისთვის ვაქციოთ ზურგი?

**ელცაფანი.** იოშუა არის ღმერთი საყოველთაო, სა-ყო-ვე-ლთაო და ამდენად, ღმერთი ჭეშმარიტი!

**აბიჟუ.** რატომ? გეკითხებით მე -- ადონაი რატომ არ არის ღმერთი ჭეშმარიტი.

**დუმილი.** პასუხის მომლოდინე ადამიანები უხმოდ დგანან.

რატომ, რისთვის უნდა დავაგდოთ ღმერთი ჩვენი -- ჭეშმარიტი და რისთვის უნდა მივსდიოთ იმას, ვინც თქვენ ღვთის ძედ გიცვნიათ?!

**დუმილი.**

**ნადაბი.** თქვენ იოშუა ირჩიეთ ღმერთად. გინდათ მის გზას მისდევდეთ. იყოს ნება თქვენი, ჩვენ კი (ორიოდ ნაბიჯს უკან გადადგამს, იუდეო-ქრისტიანებს გაშორდება. მის გვერდით დგებიან სხვებიც) ...

**ელცაფანი, ნათანი, მოშე, იოხანანი, ერთ მხარეს რჩებიან,**

**ყველა დანარჩენი -- მეორე მხარეს.**

**ელცაფანი.** ჩვენ დღეს ცოტანი ვართ, რადგან არ გსურთ გაგვიგოთ. მალე, სულ მალე, თქვენ იქნებით მცირენი, ჩვენ კი მრავალნი, რადგან იოშუა არის ღმერთი საყოველთაო. სიყვარულის...

**გოგონა** (ჭაბუკს, რომელიც ინერციით მიჰყვება ნადაბის მხარეს დამდგართ, ხელს

წავლებს. აჩერებს. ელცაფანს). თქვენ ხართ იმ ღმერთის მიმდევარი, რომელიც სიყვარულს ქადაგებს?

**ელცაფანი.** ჭეშმარიტად.

ესთი. განა ჩვენი ღმერთი – ადონაი – სიყვარულს არ ჩაგვძახის?

**იოხანანი.** თქვენ კი ერთმანეთს მტრობთ.

**გოგონა** (ჭაბუკს). აი, ესენი ამკვიდრებენ სიყვარულს.

ესთი. ესენი ლაპარაკობენ სიყვარულზე. ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ. ხომ ასეა, იოხანან! (იოხანანი დუმს.) იოხანან, ხომ დაუსრულებლივ ლაპარაკობთ სიყვარულზე, იმათ კი... იმათ როგორ ექცევით, ვისაც გუშინ სიყვარულზე ელაპარაკებოდით?

**იოხანანი.** ყველაზე წინ ღმერთი დგას. ვინც ჩვენს ღმერთს არ მიიღებს, ვერც სიყვარულამდე ამაღლდება.

ესთი. ეს ხომ სიყვარული არ არის, იოხანან, ეს მორჩილებაა.

**ჭაბუკი** (მოულოდნელად). გამარჯობათ, ძმებო! (გოგონასთან ერთად იოხანანისა და მის მეგობართა გვერდით დადგება.) მე მიხარია თქვენს გვერდით დგომა.

**ნათანი.** გიხაროდებ! მართლაც, უამის დაუხანებლად ვმრავლდებით.

**ელცაფანი.** მივდივართ, ძმებო, იუდეო-ქრისტიანობის სიკეთეს სხვებიც უნდა ვწიოთ.

**იუდეო-ქრისტიანები** გალობით გადიან, მიტოვებული იუდეველები  
უილაჯოდ დგანან. ისმის საყვირის ხმა.

**ლეგიონერი** (შემოდის). ჩამოდექით, აქ ნუ დგეხართ. საშიში დამნაშავე მოჰყავთ.

შემოაგორებენ ფიცრულ დანადგარს. დანადგარზე დიდი ჯვარი აღუმართავთ.

ჯვართან ხელებშეკრული ეუდა დგას. დარაჯად მეორე ლეგიონერი უდგას. პირშებურვილი ხაია და ესთი ვიღაცას დაეძებენ.

**ხაია.** აქეთ, აქეთ, იმპერატორის ნაცვალს ცხვირწინ ხომ არ დავუდგამთ!

**ნადაბი** (ხაიას). მარჯვნივ, აპა! (შეუმჩნევლად, ფეხით ჭის თავსარქველს გადასწევს.) ეგრე, კარგია!

ესთი (დანადგარის იქითა მხარეს ხაიას გასძახის, ეუდას გასგონად). ხაია, გაიგე, თუ არა, რა გაუკეთებია აბროს, ძეს იეხიელისას.

**ხაია.** რაო, იქნებ, ეუდამაც გაიგონოს ახალი ამბავი.

ესთი. ძლიერ ცხელოდა, იერუსალიმის მზე თავსწამომდგარ ლეგიონერზე ძნელი ასატანი ყოფილა. აბრო წელში მოკაკვულა, ჭაში ჩამძვრალა, ჭა კი გვირაბს უერთდებოდა.

**ხაია.** მზეს გვირაბში მოერიდა?

ესთი. წელში მოკაკვა, ჭაში ჩაძრომა, იქიდან კი გვირაბში გასვლაა საჭირო, წელში უსათუოდ უნდა მოიკაკვო, უნდა ჩაძვრე და გახვალ, უსათუოდ გახვალ...

**ლეგიონერი.** იქით, იქით დადექით, ჯვარზე გასაკვრელს გაეცალეთ!

**ხაია.** თუ ჭა ისე ცარიელია, ვითარ ხებრონელი მემწვანილის ჯიბე, როგორ უნდა მოიქცე?

ესთი. უნდა ჩახტე, მერე გვირაბს გაუყვები და წყურვილს მოიკლავ, ასეთ სიცხეში წყურვილის მოკვლა....

**მეორე ლეგიონერი.** (ესთის) მოსცილდით, იქით დადექით, შორს, შორს. იქით-მეთქი! (მათარას აწვდის.) გწყურია? აპა, დალიე!

ესთი (მაცთური ღიმილით). შენთან ახლოს რომ ვდგევარ, წყურვილს ესეც მიკლავს.

**ხაია.** შენთან ახლოს რომ ვდგევართ, სასიამოვნო მოლოდინით არ გიძვერს გული?

აბიჰუ (ეუდას). ქვემოთაც დაიხედე, ქვემოთ წყურვილს მოიკლავ! საყვირების საზეიმო ზმა.

ლეგიონერი. ჩამოდექით, იქით, იქით!

მეორე ლეგიონერი. იუდეის პროკურატორი ფესტოსი!

24.

### შემოდის ფესტოსი.

-- დიდება ფესტოსი!

#### დუმილი.

-- იუდეის პროკურატორს დიდება!

მოხუცი. ამათზე მეუბნებიან, უნდა შეიყვაროო, იუდეველებს ლამის ყოველდღე აკრავენ ჯვარზე!

ფესტოსი (მშრალად). ზელოტებმა რომაელთა ხოცვაც განიზრახეს. გამთენის ზანს ლეგიონერებს თავს დაესხნენ. მამაცმა ლეგიონერებმა კი ეუდა ბენ დავიდი შეიპყრეს. ჩვენ მას ჯვარზე გაკვრა მივუსაჯეთ. (პაუზა.) დაიმახსოვრეთ, ეს ბედი ელის ყველას, ვინც რომს წინ აღუდგება.

შეძახილები:

— არა, არა!

— შეიბრალეთ!

— აჩუქეთ სიცოცხლე!

მოხუცი. პროკურატორო, აი, ეს ხალხი გემუდარება: ნუ მოგვიკლავთ ეუდა ბენ დავიდს, იგი წესიერი, კეთილი, ღვთისმოშიში იუდეველია, დედისერთაა.

ხეიბარი. კმარა იუდეველთა დასჯა!

ფესტოსი. მთხოვნელი მუხლს მაინც იყრიან მბრძანებლის წინაშე.

აბიჰუ. ჩვენ ღმერთს ფეხზე მდგარი შევღალადებთ.

ხეიბარი. ისედაც რამდენი იუდეველი აცვით ჯვარს. საკმარისია!

მოხუცი. გვაჩუქე მისი სიცოცხლე, ხალხს აჩუქე, ამ ჯამაათს.

დედაკაცი. საცოლე ელოდება, პროკურატორო, მომავალ კვირას ქორწილია.

ხაია (ესთის ხელს წაავლებს). აი, ნახე, რა გოგოა ეუდას საცოლე! (ესთი ხაიას ხელს პკრავს.) სთქვი, უთხარი, რომ მისი საცოლე ხარ, გადაარჩინე ადამიანის სიცოცხლე (ხმამაღლა, ფესტოსის.) მომავალ ხუთშაბათს ქორწილში გეპატიუებიან.

ესთი (ხაიას ხელს წაართმევს). თავი დამანებე!

პრანჭია ქალი. მასწავლებელს არ კლავენ, ფესტოს!

ფესტოსი. ზელოტებმა რომს ომი გამოუცხადეს. ეუდა ბენ დავიდმა მოპკლა ლეგიონერი. არ ვაპატიებთ, ჯვარს აცვით!

ხალხს გმინვა აღმოხდება.

ლეგიონერი. არის! (დანადგარზე ახტება. მეორე ლეგიონერთან ერთად ეუდას ხელებს უხსნის. ისმის ხალხის გმინვა. ეუდას ჯვარზე გასაკვრელად ამზადებენ.).

ფესტოსი. დაუყონებლივ!

ნადაბი. მწყურვალს სიცოცხლის გზა ელოდება, იქ წყარო მოჩუხჩუხებს.

ხელებგახსნილი ეუდა ლეგიონერებს ძლიერად დაარტყამს, ჭაში ჩახტება.

სტვენა, შეძახილები:

-- აუჰ!

-- ეგერ, იქით გარბის, დაიჭით!

-- არსად არ წასულა!

ლეგიონერი (ნადაბს წაავლებს ხელს). საით წავიდა იუდეველი!

ნადაბი. მხარი ისე გამკრა, ლამის წამაქცია, აქეთ გარბოდა.  
ლეგიონერები გარბიან. ნადაბი ჭის თავსარქველს შეუმჩნევლად  
დააბრუნებს ადგილზე.

ფესტოს, მზადა ვართ მოგეშველოთ.  
აბიჟუ. თუ გვიპრძანებ, ზელოტის მოძებნაში დაგეხმარებით.  
ფესტოსი სივრცეს უხმოდ გასცემოს.

ნადაბი. წავიდეთ, ისრაელებო, ყველამ ვეძებოთ.  
ისმის სტვენა, ღრიანცელი. შუქი ქრება.

## მეორე მოქმედებდა 25.

ფესტოსის სასახლე, ფესტოსი კვლავ სავარძელში მოკალათებულა.  
ავგუსტუსი მოუსვენრად მიმოდის.

ავგუსტუსი. აქ რომის ძალაუფლება არ იგრძნობა, ზელისუფლება სუსტია (ფესტოსის პასუხს ელოდება, ფესტოსი დუმს.) განაწყენება დაგჩემდა, მაგრამ მაინც უნდა გითხრა: ის, რაც დღეს მოხდა, სამარცხვინოა. რომის სამართალს სიკვდილმისჯილი გაექცეს, ეს ხომ რომის შერცხვენა! (ფესტოსი კვლავ დუმს.) ფესტოს, შენ გაგექცა რომის მტერი, რომაელი ლეგიონერის მკვლელი, სიკვდილმისჯილი! (დუმილი.) შენ ფიქრობ, რომ ეს უმნიშვნელო მარცხია?

ფესტოსი. ეს მარცხი არ არის, ეს გეზია.

ავგუსტუსი. რა გეზზე ლაპარაკობ?

ფესტოსი. იუდეაში მუშაობის თავისებურებაზე. ეს პოლიტიკაა.

ავგუსტუსი. ლეგიონერის მკვლელის გაქცევა არის რომის პოლიტიკა?

ფესტოსი. გაგვექცა იმიტომ რომ გვინდოდა გაგვექცეოდა. თვალი დავხუჭეთ.

ავგუსტუსი. სიკვდილმისჯილის გაქცევა გეწადათ?

ფესტოსი. ეს ჩვენი თამაშია, ავგუსტუს! იუდეველნი ძლიერ განიცდიან ჩვენს აქ გაბატონებას, ყოველდღე მზად არიან სასტიკი ბრძოლა გაგვიმართონ, ამ ბრძოლაში კი დიდი სისხლი იღვრება. სიკვდილმისჯილმა ერთი ლეგიონერი მოგვიკლა და გაიქცა. ზიანი მოგვაყენა და ვერ დავსაჯეთ. ესეიგი გამარჯვება მოიპოვეს და კმაყოფილნი არიან. ევონოთ, ეს მათთვის რაღაცას ნიშნავს. მათი კმაყოფილება ის ლოდია, მოვარდნილ ღვართქაფს რომ შეაკავებს.

ავგუსტუსი (სავარძელში ჩაეშვება) პოო... კი, მაგრამ ასე ხომ...

ფესტოსი. დღეს ჩვენ იუდეაში უფრო სერიოზული საქმე გვაქვს, ვიდრე ამათუიმ დამნაშავის დასჯა და ამით იუდეველთა უკმაყოფილების კიდევ უფრო გაძლიერებაა. დღეს რომმა ყურადღება არა იუდეველებს, იუდეო-ქრისტიანებს უნდა მიაქციოს. დღეს იერუსალიმში ისეთი რამ იბადება, რაც ქვეწიერებას შესცვლის...

ავგუსტუსი. (ღიმილით). ნუ ჩქარობ, ფესტოს, შეუძლებელია იუდეამ შესცვალოს რაიმე. მთავარი არის ის, რაც რომში ხდება და არა იერუსალიმში.

ფესტოსი. თუ სადავვებს დღესვე ძლიერ არ ჩავაკლეთ ხელი... ის, რაც ხვალ რომში უნდა მოხდეს, აქ იღებს სათავეს.

ავგუსტუსი (ირონიით). შენ გგონია, დღეს სადავები ებრაელებს უჭირავთ?

ფესტოსი. ებრაელები... გონიერი კაცი იყო პილატე! ებრაელების საკითხი მან გადაწყვეტა. ამიტომ სადავები იუდეო-ქრისტიანების ხელში გადადის.

ავგუსტუსი. ეს ერთი და იგივეა.

**ფესტოსი.** იუდეო-ქრისტიანობა ის ახალშობილია, რომლსაც სურს დედა მოაშთოს. რა იქნება ხვალ? თუ იუდეველნი მიხვდნენ, რომ იუდეო-ქრისტიანები მათგან შორს არ მიდიან, ან შედრკნენ და ანგარიში გაუწიეს იმას, რომ იმათი რიცხვი დღითიდღე იზრდება და აღიარეს იგი? ებრაელები ხომ ქვეყნიერებას გაა-ერთიანებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომმა სადავეები ხელიდან გაუშვა. იგი ვეღარა-ფერს დააკლებს იერუსალიმს.

**ავგუსტუსი.** შენ გგონია, იუდეველნი ძე ღმერთს მიიღებენ?

**ფესტოსი.** მაგათ არ დაიწყეს? უკვე რამდენმა მიიღო... ამიტომაც (გაჩუმდება, ფიქრობს) ამიტომ იუდეველებს უნდა დავეხმაროთ, მტკიცედ დაიცვან ადონაი. ამით გაძლიერდება მათი დაპირისპირება. და თუ... და თუ... მათს შორის სისხლიც დაიღვრება... (მზერა გაუბრწყინდება).

**ავგუსტუსი.** რას ამბობ, ფესტოს, ეს ხომ მაინც იუდეო-ქრისტიანების გაძლიერებაა, ებრაელებს ლეგენდების, გამონაგონის გავრცელებაში დავეხმაროთ?

26.

**ფესტოსი.** ხალხს ლეგენდა უჯობს სინამდვილეს. მე ვლაპარაკობ არა რწმენაზე, რომის პოლიტიკაზე: იუდეველი რაც უფრო მტკიცედ დაიცავს თავის რწმენას, მით უფრო დაუპირისპირდება იუდეო-ქრისტიანს. აქ, ამ კუთხეში, კი დაპირისპირება სისხლისღვრის წინადღეა. სისხლისღვრა საბოლოოდ დააშორებთ. ამით იუდეო-ქრისტიანები გაძლიერდებიან და იუდეველებს სანაგვეზე მივუჩენ ბინას.

**ავგუსტუსი.** ვერაფერი გაგიგე!

**ფესტოსი** (ფიქრობს). რომზე, რომის ხვალინდელ დღეზე (პაუზა), იმაზე, რომმა თუ როგორ გამოიყენოს ის, რაც იუდეაში ხდება და დარჩეს ქვეყნიერების ცენტრად...

**ავგუსტუსი.** რომიდან ებრაელების გასახლება? კლავდიუსს რა მოვახსენო?

**ფესტოსი** (ფიქრობს). თუ კლავდიუსი ებრაელებს რომიდან გაასახლებს... ნაწილი ათენს მიაშურებს, ნაწილი ანტიოქიას, უფრო მეტი კი აქეთ წამოვა -- იუდეაში (ფიქრობს) არა, ეს არ შეიძლება. ეს იუდეველებს გააძლიერებთ. მათი დათრგუნვის გზა ის იქნება, თუ რომიდან გაძევებულთ, იუდეაში ცხოვრებასაც ავუკრძალავთ. დათრგუნვა კი აუცილებელია. (პაუზა) რომმა იუდეო-ქრისტიანების რბევაც უნდა განაგრძოს, არბიოს, მაგრამ თვალსაწიერიდან არ გაუშვას, დანარჩენს დრო დაგვანახებს... (პაუზა) თუ ხვალ იუდეო-ქრისტიანებმა გაიმარჯვეს, ახალი შუქი რომიდან მოეფინება ქვეყნიერებას. ამ შუქით შთაგონებული ხალხები რომს დაუხრიან თავს.

**ავგუსტუსი.** შენ გინდა მითხრა, რომ... ღმერთის სხივი ქვეყნიერებას რომის ქვეშ მოაქცევს?

**ფესტოსი.** აკი შენი არ მესმისო, აი, ხომ ხედავ, რა კარგად გამიგე!

**ავგუსტუსი.** მაგრამ თუ ეგენი გაერთიანდნენ?

**ფესტოსი.** ეს რომის დამარცხებაა, (პაუზა.) კარგად უნდა ვადევნოთ თვალი, დავეხმაროთ მტრებად იქცნენ. დანარჩენი კი თავისთვის მოხდება, რადგან იუდეო-ქრისტიანებს რომი მიაჩნიათ ქვეყნიერების ჭიპად და არა იერუსალიმი. პილატე ძალიან, ძალიან წინდახედული ადამიანი იყო -- მან დამოკლეს ხელიდან გამოგლიჯა მახვილი და ებრაელობის თავზე სამარადისოდ დაჰკიდა. არცერთ კეისარს ისეთი სამსახური არ გაუწევია რომისთვის, როგორც პილატემ. ამას მომავალი დაადასტურებს.

**ავგუსტუსი.** კლავდიუსს იმასაც გადავცემ, რომ კარგად იცი, აქ რა ხდება და რა იქნება ხვალ.

**ფესტოსი.** აქ სიმშვიდე არ არის, არც არასოდეს იქნება, ამიტომ დაჩაგრულად სულაც არ ვგრძნობ თავს, მაგრამ... (პაუზა, ავგუსტუსი ელოდება).

**ავგუსტუსი.** მაგრამ?

**ფესტოსი.** არა, არაფერი, მე იმ დროს დაველოდები, როცა რომში მიხვდებიან იმას, რასაც აქამდეც უნდა მიმხვდარიყვნენ.

### დაბწელება.

წარმტაცი ებრაული მელოდია. შექი სცენაზე ადამიანები მღერიან, ცეკვავენ. იოშუაყი, გარდაცვლილი დედის სულის საოზად სინაგოგას მოსეს ზუთწიგნეულის გრაგნილს ჩუქნის. მას ცეკვა-სიმღერით მოსდევენ. ფერად-ფერადი ნაჭრებით მორთული გრაგნილი ზელიდან ზელში გად ადის, რათა რაც შეიძლება მეტი ადამიანი გახდეს მადლის წილზედომილი.

იოშუაყი. იხარეთ, იხარეთ, ადამიანებო!

მოხუცი. იყოს მშვიდობა ჯამაათში!

ზეიბარი. ქორწილები, ვაჟიანობა!

იოშუაყი და მანდილოსანი გრაგნილის წინ ცეკვავენ. ახლა მათთვის მოსეს ზუთწიგნეული ის ცოცხალი არსებაა, რომელსაც მხიარული განწყობით უნდა აამონ. ცეკვაში მოხუცი ჩაერთვება. ერთობ კოლორიტულად ცეკვავს, მერე

27.

პრანჭია ქალს გაიწვევს საცეკვაოდ. ცეკვისას პრანჭია ქალისადმი დიდ ალერსს ავლენს -- აშკარაა, რომ ქალის ყურადღების მიქცევას ლამობს. ეს არის ცეკვა-ლალობა, ცეკვა -- არშიყი მამრისა და მდედრისა.

გამოჩენდებიან იუდეო-ქრისტიანები. მოზეიმე-მოდღესასწაულეთ კუშტი მზერით მოჰყებიან, დროდადრო ერთმანეთს რაღაცას გადაუჩრჩულებენ ხოლმე.

ესთი (ზაიას). ესენი ასე რატომ მოგვდევენ?

ზაია. მერე რა, ესენიც ჩვენნაირები არიან -- ისრაელიანები, სეფერ თორის შებრძანების ხილვა სწადიათ.

მოხუცი (პრანჭია ქალს ეცეკვება). აი, ასე, აი, ასე! აბა!

ესთი. თუ ჩვენნაირები არიან, ჩვენთან მოვიდნენ. ხედავ, იოხანანი რა შორს დგას?

ზაია. კარგი რა, წამო, ვიცეკვოთ! (ესთის საცეკვაო წრეში გაიყვანს. ცეკვავენ.)

იოხანანს რატომ არ ეცეკვები?

იოშუაყი. გაიხარეთ, მეზობლებო, გაიხარეთ!

ზაია (ესთის). აბა, ჰე, მიდი, გამოიწვიე! (ესთის ზელს ჰკრავს, იოხანანთან პირისპირ დააყენებს).

ესთი (ღიმილით.). იოხანან! (იოხანანი არ იძვრის, კუშტად იმზირება). მეცეკვე, მოდი ვიცეკვოთ!

იოხანანი. იუდეველს ეცეკვე, შენ მათ ეკუთვნი.

ზაია რაო, აღარ მიყვარხარო? აღარ უნდა შენთან კოცნაობა? ასე უცებ მობეზრდი? (იოხანანთან მიიჭრება, ეცეკვება. იოხანანი არ იძვრის, მაგრამ ზაია წაავლებს ზელს, ცეკვით აამოძრავებს.) მოდი, იოხანან, მოდი, ასე, ასე, კარგია!

იოშუაყი. მოდით, ყველამ შეავლეთ ზელი იწილადეთ მადლი!

მოხუცი (დაღლილი, დაჯდება). აუჰ, ა?! კიდევ ხომ შემიძლია ზოგიერთზე მეტი!

ცეკვაში ზეიბარი ერთვება. ახლა ის ეცეკვება პრანჭია ქალს.

ცხადია, ცეკვას ვერ ახერხებს, ხტუნავს.

პრანჭია ქალი. აი, ყოჩალი კაცი, ეს რა მაგარი იქნებოდა!  
იოშუაყი (განდგომილთ). შემოგვიერთდით, ჩვენთან ერთად იმზიარულეთ! (იმათ  
წრეში შეერევა, თითოეულს ეპატიუება).  
იოხანანი. (ხაიასთან ცეკვას შეწყვეტს). ჰო, კარგი, საკმარისია.  
მოშე. არა, არა!  
ნათანი. რას აკეთებ, შორს ჩემგან!  
გოგონა. გამეცალე, იუდეველო!  
პრანჭია ქალი (გასძახის). ცეკვა-თამაში ყველას უნდა, მოდით ჩვენთან, ვიცეკვოთ!  
ზეიბარი. მოდით, თქვენც მიიღეთ მადლი!  
გოგონა. გაგვეცალეთ-მეთქი!  
ზაია (ესთის). ხომ ხედავ, რა კარგად მეცეკვება იოხანანი!  
იოხანანი. ჰო, კარგი, საკმარისია! (გვერდზე გადგება).  
მოხუცი. ღმერთმა ქონება გიმრავლოს, იოშუაყ!  
ჭაბუკი (%იზღით). რა ჯიუტნი ხართ, იუდეველნი!  
იოშუაყი. ვიმხიარულოთ და ვიმრავლოთ, ისრაელებო!  
აბიჟუ (ცეკვა-ტრიალით მოდის, ხაიას წავლებს ხელს). მოდი, ზაია, მოდი, ვიცი,  
ცეკვა გწადია.  
ზაია (გატაცებით ჩაერთვება ცეკვაში). განა ყოველთვის ვიქნები 18 წლის!  
აბიჟუ (ზატვრით). ოჰ... ოჰ... გამაურიალა.  
ზაია. მე აქა ვარ, შენთან ვარ.  
აბიჟუ (ხაიას თამამი მოძრაობები ვნებას უღვივებს). ო ოი... ოოი! მიშველეთ!

## 28.

ზეიბარი (გატაცებით ხტუნავს). ეეჰ... დასცხეთ, დასცხეთ!  
მოხუცი. იდიდოს გამჩენი ჩვენი!  
ნათანი (იუდეო-ქრისტიანებს). ხედავთ, რას აკეთებენ? ხედავთ, რას გაიძახიან!  
ჭაბუკი. აუტანელია, ამის მოთმენა არ შეიძლება!  
ზაია. ხომ არ დაიღალე, აბიჟუ, ხომ გამიძლებ, ჰა!  
აბიჟუ. შემიძლია მთელი ღამე შენთან ერთად ვიტრიალო.  
ესთი (პრანჭია ქალს). შეხედე, ასე რატომ გვიმზერენ?!  
ზაია. ნუ მოიწყენ, ესთი, მიდი, კიდევ ერთხელ სთხოვე, იქნებ, გეცეკვოს, ისე  
როგორც მე.  
მოხუცი. იდიდოს ღმერთი ისრაელისა!  
აბიჟუ. რომაელები გაეცალონ იუდეას!  
ზაია. რა დროს რომაელებია, აბიჟუ, მოდი, მოდი!  
ზეიბარი (კვლავ ხტუნავს). გაიხარეთ, ისრაელებო!  
იოშუაყი. ყველამ ისმინეთ, ყველამ თქვით „ამინ“, ყველამ! (ყურადღებით უსმენენ,  
იოშუაყის მიერ წამდერებით წარმოთქმული ფრაზა მიდამოს ედება.) შემაყ, ისრაელ,  
ადონაი, ელოპენუ ადონაი ეხად!  
ყველა (ერთად). ამიინ!  
ნათანი. ისე გაპკივიან, თითქოს მხოლოდ თვითონ არიან ამ ქალაქში!  
ჭაბუკი. არ ჩავაგდებინოთ ენა?!

იოშუაყი. კიდევ ერთხელ: შემაყ, ისრაელ, ადონაი, ელოპენუ ადონაი ეხად!  
ყველა (ერთად). ამიინ!  
იოშუაყი. ისმინე ერო ისრაელისა, ერთია ღმერთი ქვეყნიერებისა და ღმერთი იგი  
არის ღმერთი ჩვენი!

**შეძახილები:**

- ამიინ!
- კურთხეულია სახელი მისი!
- გაიხარეთ, ისრაელებო!
- კურთხეულ იყოს უკუნითი უკუნისამდე!

**ეუდა** (გრძელი წვერი და დიდი ულვაში გაუკეთებია, მოხუცის ნაბიჯებით მოდის).  
მოგესალმებით!

**ყველა დაკვირვებით დააცქერდება.**

**ესთი. ეუდა, შენ?!**

**შეძახილები:**

- ეუდა!
- მოვიდა!

**იოხანანი.** ამ ქალაქში მხოლოდ ეგენი არიან? ჩვენ აღარა ვართ?

**ნათანი.** უნდა ჩავამტვრიოთ კბილები, რომელიც ენას ვერ აკავებს.

**ეუდა** (ესთის მიუახლოვდება, ცდილობს საცეკვაოდ გაიწვიოს). მე სულ შენთან ცეკვა მინდა.

**ესთი** (ეუდას შესცქერის). ნუ, ეუდა, არ არის საჭირო!

**ეუდა.** მხოლოდ შენთან, ესთი! (ესთის გაცლა სწადია) ჯვარზე გაკვრა იმით იყო საშინელი, რომ შენ ვეღარ გნახავდი.

**ესთი.** ნუ, ნუ! (გარბის. ეუდა დაედევნება. დაიჭერს.) ვერსად გამექცევი ესთი, იცოდე, ყველგან მოგნახავ.

**ესთი.** არა, არა! (ხელს გააშვებინებს. მიდის).

**ხაია.** მიდი, ეუდა, მიდი, შენ მოსწონხარ, მაგრამ იოხანანი არ აძლევს მოსვენებას.

**ესთი** იმას დარჩება, ვინც გვერდიდან არ მოშორდება.

**იოშუაყი** (სეფერ თორას ისეთი ალერსით შეათამაშებს, თითქოს ბავშვი ეჭიროს

29.

ხელში). მთავარი არის ის, რაც ღმერთმა მოგვცა: ასირიელები, ბაბილონელები, ბერძნები, სპარსები მოდიან, მერე მიდიან, ჩვენ კი აქა ვართ, ჩვენს მიწაზე, ყველას ღმერთი აძლევს პასუხს. რომაელებსაც ღმერთი მოუვლის.

**ხეიბარი.** იმიტომ, რომ გამჩენის ერთგულნი ვართ.

**მოხუცი.** არ ვივიწყებთ ადონაისადმი მიცემულ პირობას.

**იოშუაყი** (კვლავ წამდერებით). შემაყ ისრაელ, ადონაი, ელოპენუ, ადონაი ეხად!

**შეძახილები:**

- ამიინ!
- ჭეშმარიტად!
- ღმერთი ჩვენი არის მფარველი ისრაელისა.
- გაიხარეთ!

**იოშუაყი.** ისმინე, ერო, ისრაელისა. ერთია ღმერთი ქვეყნიერებისა და იგი ღმერთი არის ღმერთი ჩვენი!

მოშე, ნათანი, იოხანანი, გოგონა, ჭაბუკი, უცხონი ცერემონიის მონაწილეებს ეძგერებიან. იწყება ჩხუბი. ერთმანეთში ირევა იუდეველთა და იუდეო-ქრისტიანთა

**შეძახილები:**

- რას შვრებით, ისრაელიანებო!
- შეჩერდით!

-- გამჩენი დაგსჯით!

-- დასტოვეთ ეგ თქვენი რჯული!

-- მიიღეთ, მიიღეთ ღმერთი ჩვენი!

ეუდა (იოხანანს უტევს). ღმერთს განუდექი და თავსაც გვესხმი!

იოხანანი. რატომ მომიკალი ღმერთი, რისთვის! (ხელს მოუქნევს, ეუდა იცილებს).

ეუდა. დაფიქრდი, იოხანან, კაცი ღმერთს როგორ მოკლავს! ღმერთი უკვდავია, ღმერთი მარადიულია (იოხანანს შეუტევს) ესთისთან რა გინდა, ესთის შეეშვი!

იოხანანი. ძალიან მომწონს...

ეუდა. ესთის არ გაეკარო, ესთის თავი ანებე!

იოხანანი. თუ ჩემს რწმენას გაჰყვება, ცოლად დავისვამ.

ეუდა (ძლიერ შეუტევს). აი, შენ ცოლი, ეს იქნება შენი ცოლი! გუშინ შენც ხომ ჩვენს ღმერთს ადიდებდი.

იოხანანი. მატყუებდით. ყველანი მატყუარები ხართ!

ესთი (ეუდასა და იოხანანს შორის ჩადგება). ამასთან რა გინდა, იოხანანს რატომ ურტყამ!

იოხანანი (ესთის). მე შენი დაცვა არ მჭირდება. ფრუშიმები შორს! (ესთის ხელს ჰკრავს.)

ესთი (ეცემა). იოხანან!

ეუდა (ესთის წამოაყენებს). რატომ არ გესმის, ესთი: კაცი რომ ღმერთს გამოიცვლის, ადამიანს არ დაინდობს.

იოხანანი. მე ღმერთი კი არ გამოვიცვალე, ვპოვე, იუდეველო -- ვპოვე ღმერთი ჭეშმარიტი (ესთის.) შენც პპოვე ღმერთი! (ეუდას დაარტყამს, ეუდა წაიქცევა)

პირველი ლეგიონერი (შემოდის). ააუკ! სანახაობაა!

მეორე ლეგიონერი. კარგია, კარგი! (ხმამაღლა, თითქმის ყვირის.) რა ამბავია, რა ხდება აქ! დაიცავით წესრიგი!

პრანჭია ქალი (დიდ კეტს ყველას უქნევს). სულელნო, ჭეპადაკარგულნო, ისრაელის შვილი ისრაელის შვილს სასიკვდილოდ იმეტებდეს?!

პირველი ლეგიონერი. რატომ ყვირი? აცალე ხალხს. (ჭაბუკს პრანჭია ქალზე მიუთითებს.) აი, ეგ ქალი გაფურთხებდა და კეტის დარტყმას გიპირებდა.

## 30.

ჭაბუკი (პრანჭია ქალს). მაგ ჯოხს მე მირტყამდი? (კეტს წაართმევს და დაარტყამს).

მეორე ლეგიონერი. წესრიგს ნუ არღვევთ, დაიცავით წესრიგი!

პირველი ლეგიონერი. წამო, აქედან წავიდეთ, დაანებე ხალხს თავი, ნუ შეაწუხებ! (გადიან).

შემოდიან შიმონი და შაული. ხმაური უცებ შეწყდება. ყველა გაირინდება.  
კულისებისკენ შეტრიალდებიან.

შიმონი რომელ თქვენგანს ძალუმს მითხრას, რომ ჩვენი ჯვარცმული და ვნებული უფალი თქვენი ხილვით გაიხარებდა. სიხარულს მიეცემოდა, თუ იხილავდა მისივე სახელით როგორ სცემენ მისივე ერის შვილებს. (შეჩერდება.) შენ ვინა ხარ?

მოშე. იუდეო-ქრისტიანი მოშე ბენ იოსები.

შიმონი. არა, მოშე წარსულში დარჩა. შენ ხარ ფილიპე. შენ?

**წეიბარი.** იუდეველი ვარ და იუდეველად დავრჩები, გამეცალე, შიმონ! (პაუზა. მშვიდად და უფრო დაბეჯითებით.) მე არ გავხდები, იუდეო-ქრისტიანი. (პაუზა. შიმონი დაუინებით შესცეკრის წეიბარს.) ტყუილად ირჯები, შიმონ!

**შიმონი.** შიმონი ვიყავ მანამ, სანამ კინერეთის ზღვაში თევზს ვიჭერდი, ვიდრე გავხდებოდი მოწაფე უფლისა ჩვენისა. აწ ვარ პეტრედ წოდებული. შენ კი... უფლისა ჩვენის იოშუა ნაზარეველის სახელით გეუბნები: გამართე ფეხი!

**წეიბარი.** რა?! ეგ როგორ! ჰმ! რა მითხარი?!?

**შიმონი.** გამართე ფეხი!

**წეიბარი.** ეგ ფეხი, ოცდაათი წელიწადია... (ერთობ აღელვებული.) გაგიგიათ, აზალი მთვარე ცაზე სამასორმოცდაათჯერ გამოვიდა... მთვარე სამასორმოცდაა-თჯერ აივსო... ეგ ფეხი ეგრე...

**შიმონი.** დღეს კი უფალი ჩემი -- იოშუა ნაზარეველი გიბრძანებს: გამართე ფეხი!

**წეიბარი.** როგორ მიბრძანებს... ის კი მიბრძანებს, მაგრამ... რანაირად?

**შიმონი.** ჩამოდგი ფეხი, წეიბარო!

**წეიბარი** (ფეხს დადგამს. გაოგნებული). მე არა... მე არაფერი ... ჩემი რა ბრალია!

**შიმონი.** ასე, იარე, დედამიწაზე... იარე!

**წეიბარი** (ტრანსში). ფეხი გაიმართა... მე რა დავაშავე... დავდივარ... აი, აი! (ფეხს ასწევს, დადგამს, ისევ ასწევს, დადგამს.) ხალხო, ადამიანებო, ფეხი... (ადამიანები გაოგნებულნი მისჩერებიან, ხან შიმონს, ხან – წეიბარს, რომელიც დაბნეული მიმოდის.) აი, ფეხი, ნამდვილი ფეხი, ისრაელებო, აი, აი! (ხან ასწევს, ხანაც დაუშვებს).

**შიმონი** (იოშუაყს). სეფერ თორის შებრძანება რისთვის შეწყვიტეთ? განაგრძეთ!

(იოშუაყი არ იძვრის – ვერ დაუღწევია თავი სასწაულისგან, რომელიც მის თვალ- წინ დატრიალდა.) განაგრძეთ, შეაბრძანეთ სეფერ თორა!

**წეიბარი.** აი, ფეხი, ხალხო, აი! (ფეხს გამართავს, მოხრის).

**შიმონი** (იოშუაყს). განაგრძეთ გზა, სეფერ თორას ნუ შეაყოვნებთ. (შაულის.) შენ რას ბრძანებ პავლედ წოდებულო, შაულ? (შაული თანხმობის ნიშნად მშვიდად დააქნევს თავს.) გზა! (დაბნეული იოშუაყი გრაგნილს აიღებს და გზას განაგ-რძობს, არავინ მიყენება. ყველა უძრავად დგას.) ერთად ვიაროთ, ყველამ ერთად მივაცილოთ სეფერ თორა! (დაიძვრებიან. იუდეველნიც, იუდეო-ქრისტიანებიც ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით მიაცილებენ ძველი აღთქმის დიდ გრაგნილს) ფსალმუნნით, ფსალმუნნის მღერით ვაცილებთ სეფერ თორას.

**ფსალმუნს წამოიწყებენ. სცენაზე შუქი ქრება.**

**ავანსცენა. სინათლის წრეში ფესტოსი გამოიკვეთება**

31.

**ფესტოსი** (დაუინებით შესცეკრის დარბაზს). რომი დიდია, იუდეა -- მცირე. რომი ასჯერ მრავალრიცხოვანია, მრავალი ზღვისა და ხმელეთის პატრონი, სამეფოთა ბედის გამგებელი. დღეს ჩვენი ჯარისთვის შუბებს, სატევრებს, მახვილებს სად არ სჭედენ, ქვეფინერების რომელ კუთხეში! ჩვენ შეგვიძლია ჩრდილოეთისა, თუ სამხ-რეთის, აღმოსავლეთისა, თუ დასავლეთის ყოველი მეფის ჯარი აღვკაზმოთ საბრ-ძოლო ეტლებით, შუბებით, მახვილებით, სატევრებით. მდინარეებს შევღებავთ ხალხის სისხლით. ამათ კი, იუდეველებს, თავი ისე უჭირავთ, თითქოს ჩვენ ვიყოთ პატარა იუდეა, ეგენი კი -- უძლეველი რომი. ჯიუტი, დაუმორჩილებელი, გაუგე-

ბარი ხალხი... ჩვენს სიდიადეს არცა სცნობს. რამდენ ქვეყანაში დავიდეთ ბინა, იუდეაში უფრო მეტი ადამიანი გავაკარით ჯვარს, ვიდრე ყველა ქვეყანაში ერთად... ესენი კი მაინც გაიძახიან ღმერთი ჩვენი ცოდვებისათვის გვსჯისო. (ფიქრობს.) ახლა ეღებათ ბოლო. იუდეველებს ისევ სახეშეცვლილი იუდეველები თუ დაამხობენ... ცარიელდება მათი რწმენის ტაძარი... ეს კი იუდეის დანგრევაა. მალე, სულ მალე დაემხობა რომის მოქიშპე იერუსალიმი (ირონიული ღიმილით) რომი ძალადობაა, იერუსალიმი კი -- სულიერებაო. აპა, სულიერება მოუღებს ბოლოს და რომი საბოლოოდ დაეუფლება იერუსალიმს, მთელ იუდეას.

### შუქი ქრება. ავანსცენაზე ესთი მორბის.

ზაია (ესთის მოსდევს). ესთი, დამიცადე!

ესთი. არა, არ მინდა!

ზაია. ესთი, რა მოგივიდა!

ესთი. (არ ჩერდება). თუ საცეკვაოდ არ გამოგყვებიან, ძალათი ეცეპვე – ყველა იტყვის იოხანანმა ესთის ცეკვაზე უარი უთხრა და ზაიასთან იცეკვაო.

ზაია. დამიცადე-მეთქი!

ესთი. რა გინდა, ზაია, ან რა უნდა მითხრა! რაც შეგეძლო, უკვე გააკეთე.

ზაია. იოხანანმა გამომგზავნა შენთან.

ესთი (შეჩერდება, ზაიას მიუბრუნდება). იოხანანმა?

ზაია. ჰო. მთხოვა, მიდი, დაელაპარაკეო.

ესთი (იჭვით). რაო, იოხანანმა?

ზაია. ეუდას ნუ გაურბისო, ეუდა ძალიან კარგი ბიჭიაო.

ესთი. ამისთვის გამოგგზავნა?

ზაია. ესთის უთხარი, ქორწილშიც მოვალ და კარგად მოვილზენო.

ესთი (ბრაზი ერევა). მაში, იოხანანმა გითხრა, ეუდა უყვარდეს, ჩემზე ნუ იფიქრებსო? ის არ გითხრა, ზაია მიყვარს და სხვას არასოდეს არ შევიყვარებო?! ცრუ და მატყუარა ზარ, ზაია, გამეცალე! შენ გგონია, თუ მე ეუდას გავყვები, იოხანანი შენ დაგრჩება?

ზაია. მაში, რა გინდა -- იოხანანი კოცნით ტუჩებს გაგლეჯდეს და ეუდა კუდში დაგდევდეს? ორივე გინდა? იოხანანს შენთან სიახლოვეც არ სურს, ხომ ნახე, არ გეცეპვა, ხელიც კი გპრა.

ესთი. შენ კი ძალით ეცეპვე.

ზაია. დღეს ძალით მეცეპვა, ხვალ -- შემეჩვევა.

ესთი. არასოდეს, შენ არასოდეს არ შეგეჩვევა.

ზაია. დაჯექი, ესთი, მოდი, მიწაზე დავსხდეთ, იცი რა კარგია მიწაზე ჯდომა? (დაჯდება, ესთის თითქმის ძალით დასვამს. გვერდი-გვერდ სხედან, თითქმის ერთმანეთს ეკვრიან) ეუდას უყვარხარ, ძლიერ უყვარხარ.

ესთი. მე არ მიყვარს.

ზაია. იოხანანს კი არავინ უყვარს, გარდა თავისი ღმერთისა.

ესთი. მე მეუბნებოდა, მიყვარხარო.

ზაია. ჩემი დანიშნულია (ცრემლი სდის.) იცი, როგორ მიყვარს? დღეცა და დამეც მას ვხედავ, სულ მინდა, მის გვერდით ვიყო, სიზმარში ვხედავ, ვეხვევი, ვკოცნი,

თავად ისე მკოცნის, რომ სიამოვნებით ლამის გული დამელიოს, უცებ მეღვიძება და... იერუსალიმის ცივი ნიავი მივლის გარს. (ცხარედ.) რატომ არ ვუყვარვარ, ესთი, რატომ!

ესთი (მშვიდად). იმიტომ რომ მე ვუყვარვარ.

ზაია (ესთის აჯანჯლარებს). არა, არა, სტყუი, ტყუილს ამბობ, ესთი, არა-მეთქი. (ჩაეკვრება) რა უბედური ვარ, შენ ეუდას უყვარხარ...

ესთი (აწყვეტინებს). იოხანანსაც.

ზაია მე კი არავის არ ვუყვარვარ! (ტირის).

### დაბნელება.

განათლება სცენა. სანთლების შუქით გაბრწყინებული ბეით ქნესეთი -- სინაგოგა.

საამო გალობით შემოდიან იუდეველები, იუდეო-ქრისტიანები.

მათ შაული და შიმონი მოუძღვით.

შიმონი. პატივით დააბრძანეთ სეფერ თორა! ძმანო და დანო ჩემნო, მამებო და შვილებო! იოშუაყმა დედის -- სარა ამინადავის ასულის, რახელის მიერ შობილის და მიხეილის მეუღლის სულის საამოდ ბეით ქნესეთს სეფერ თორა მიუძღვნა. დღეს იგი ღმერთს შესთხოვს, მისი დედის სულმა სამოთხეში ჰპოვოს ადგილი. მე კი

თქვენ გაჩვენებთ სამოთხისაკენ მიმავალ გზას. ეს არის გზა იეშუას -- უფლის ჩვენის -- ცნობისა, მისი აღიარებისა და მასავით ლოცვისა. ყველა, ვინც მის გზას დაადგება, სამოთხეში ჰპოვებს ადგილს.

მოხუცი. სარას სული მოვიხსენიოთ, ამისთვის ვართ მოსულნი!

იოხანანი. აცალეთ ქადაგება!

მოხუცი. ეგ ამბავი არ გვჭირდებ, შიმონ!

ხეიბარი. ასე რად ყვირით, ებრაელებო, ნუთუ, სხვა აზრის მოსმენა აღარ გინდათ? მანდილოსანი. არა, არ გვინდა!

ეუდა. დღეს სარას ხსოვნის დღეა, მაგისთვის მოვედით.

აბიჟუ. შიმონ, შენ დაუტოვე რჯული ჩვენი?

შიმონი. რჯული ჩვენი დაბერდა, იგი ახალმა უნდა შეცვალოს. ჩვენი ხალხი დაცილდა მცნებებს, ამასინჯებს მათ. მესია ჩვენთა ცოდვათა გამო ეწამა.

მოხუცი. მაგას ჩვენი მოქცევისთვის ამბობ, შიმონ?!?

იოხანანი. დაფიქრდით, იუდეველნო, იქნებ, ჭეშმარიტებას უახლოვდებით?

აბიჟუ. ჩვენ სარას სულის მოხსენიება გვწადია, დაგვანებეთ!

ნათანი. რა დროს ეგ არი, ქადაგების მოსმენა გვინდა.

შაული. კაცნო, მამებო და შვილებო, ძმანო და დანო ჩემნო, ვარ შვილი ფრუშიძ-თა-ფარისეველთა მოდგმის კაცისა, თავადაც ფარისეველი ვიყავ, ვიდრე დამასკოსის გზაზე არ მეჩვენა უფალი ჩვენი და არ მივხვდი, რომ იგი არის ღმერთი ჭეშმარიტი.

შიმონი ირწმუნეთ ჩვენი, გამოგვევით, იეშუა აღდგა, იგი ახლა ზეცაშია და სიყვარულს ჩაგვაგონებს. იეშუას მრავალნი აღიარებენ და მისდევენ, იუდეველთა დიდი ნაწილი კვლავ ჯიუტობთ. მოინათლეთ, იუდეველნო! (დუმილი.) მოინათლეთ და სხვებსაც ჩააგონეთ დაადგნენ იეშუას გზას.

ნადაბი (მშვიდად, აუღელვებლად). შიმონ, შაულ, ჩვენგან რა გინდათ?

**შიმონი.** სცანით იეშუა მაშიახად, დაადექით გზას ჭეშმარიტებისა. თუ ყოველი იუდეველი ახალ რჯულს მიიღებს, ჩვენი ერი იქნება ერთიანი, ძლიერი.

**ხმაური, შეძახილები:**

-- ეს რას ამბობს, ისრაელებო!

-- ამის მოსმენაც კი ცოდვაა!

-- ნუ სცოდავ!

**მოხუცი** (წამლერებით). შემაყ ისრაელ, ადონაი ჰელოენუ, ადონაი ეხად!

**იოშუაყი** (მოხუცის წაბაძვით). ისმინე ერო ისრაელისა, ერთია ღმერთი ქვეყნიერებისა და ღმერთი იგი არის ღმერთი ჩვენი!

**შაული.** რატომ, რისთვის ჯიუტობთ ასე -- ამ მიწაზე, ჩვენს შორის, აქ იშვა უფალი. მრავალმა იუდეველმა ვალიარეთ იგი, მივსდევთ მის მცნებებს..

**აბიჟუ.** მაშ, რაღა გინდათ, რიღასთვის ირჯებით?

**შიმონი.** იმისთვის, რომ ყოველმა ადამიანმა შეისმინოს ჩვენი რჩევა, მიიღოს უფალი!

**აბიჟუ.** არა, შიმონ, ჩვენ ჩვენსავე გზას არ განვუდგებით, არ გვსურს.

**ნადაბი.** თქვენ განუდექით, ჩვენ არ განგსჯით, გეტყვით კია: გაპატიოთ ღმერთმა!

**მოხუცი.** იუდეველნო, გეუბნებით ყველას: აქ ვართ იუდეველნი, აგერ, იუდეო-ქრისტიანები, თუ ვინმეს გული იქით მიგიწევთ...

**შიმონი.** მაშ, თქვენ კვლავაც მცდარ გზას ადგახართ, კვლავაც არ გსურთ მიიღოთ ღმერთი ჭეშმარიტი, ის, რომელსაც ძალუმს მიცვალებულთა გაცოცხლება,

სნეულთა განკურნება...

**ხეიბარი.** გვწადია, გვინდა, როგორ არ გვინდა!

**მოხუცი** ღვთის შვილნი ვართ, გამჩენს სინაის მთის ძირას პირობა მივეცით, დავიცვათ მისი მცნებანი, ნუ გადათქვამთ, დაუბრუნდით თქვენი რწმენის ტაძარს, დარჩით იუდეველებად!

**შაული.** თქვენ ზურგს აქცევთ ღმერთს საყოველთაოს, კაცობრიულს და რახან ასე გსურთ, ზიდეთ კიდეც მისი არყოფნის ცოდვა!

### იუდეველთა შორის უკმაყოფილო შეძახილები:

-- რას ამბობს!

-- ცოდვას რად იდებ, შაულ!

-- დაშინებით, მუქარით გინდათ მოგვაქციო?

**შიმონი.** ამაოდ მღელვარებთ, განა არ გახსოვთ: პროკურატორ პილა-ტეს არ ეწადა მისი დასჯა, რადგან ვერა-რა დანაშაული ვერ ჰქოვა მის საქცი-ელში.

**აბიჟუ.** რაოდენ სათნონი, კეთილნი ყოფილან რომაელნი, ჩვენ კი გვეგონა სამშობლო აგვიოხრეს. (შიმონს და შაულს.) რომაელებისადმი თქვენი ლაქუცი ადრეც შეგვიტყვია--თქვენი სამშობლოს დამაქცევართ ანგელოსებად წარმოგვიჩ...

**შიმონი** (აწყვეტინებს) ჩვენი სამშობლო სამყაროა და არა პატარა იუდეა, ჩვენ ყველგან ვართ!

**ხმა.** დამანახეთ, ამას ვინ ამბობს?

### აქა-იქ გაისმის შეძახილები:

-- დიდი რაბი მობრძანებულა!

-- რაბი გამალიელი ძე რაბი გამალიელისა!

-- ჩამოდექით!

-- გზა მიეცით!

ყველანი -- იუდეველნიც, იუდეო-ქრისტიანებიც მოწიწებით განაპირდებიან.

**გამლიელი.** გაფრენილი სიტყვა მახვილზე მჭრელია. (შიმონს.) შენ ბრძანე ეგრე?

(აკვირდება.) საიდან მეცნობი?

შიმონი. შენი მოწაფეა ვიყავი, დიდო მოძღვარო!

გამლიელი. ჩემი მოწაფეები ეგრე არ ლაპარაკობენ... სიტყვას სწონიან. (აკვირდება.) ძლიერ დავბერდი... ვეღარ გიგონებ... შენ რომელი ხარ?

შიმონი. შიმონი... (პაუზა.) მეთევზე.

გამლიელი (სახე გაუცისკროვნდება. მოაგონდება). შიმონ კიპა. შენ სხვაზე ნაკლები თორა არ გისწავლია... ლოცვაც კი დაწერე...

შიმონი (მორცხვი ღიმილით). საშაბათო ლოცვა „ნიშმათ“... „სული ყოველი არსისა!..

გამლიელი. მახსოვს, მაგონდება. (შეგონებით.) მე ხომ გასწავლე, რომ ავი სიტყვის თქმაც დიდი ცოდვაა.

შიმონი. ეს ავი სიტყვა არ არის, რაბი. ასე იყო. იუდეველთ არ მიიღეთ ჩვენი ღმერთი. შენც ხომ იქ იყავ, სინედრიონში. განა, სინედრიონმა არ გამოიტანა განაჩენი?

გამლიელი. დღესაც ვატარებ მაგ მძიმე ტვირთს.

შიმონი. მე კი გარეთ ვიდექი, ეზოში ველოდი, როგორი იქნებოდა განაჩენი, ველოდი, როდის გამოვიდოდა მოძღვარი ჩემი, რას გადაუწყვეტდით.

გამლიელი. ჰო, ალბათ... იქ ხალხი ირეოდა.

შიმონი. თქვენ იქ სამსჯავრო გქონდათ, მთელი ღამე განსჯიდით, მერე კი პროკურატორს შეევედრეთ, სთხოვეთ სიკვდილით დასაჯეთო, ჯვარზე გააკარითო. შენც რაბი, იმ ღამეს შენც იმათ შორის იყავი, ვინც განაჩენი გამოიტანა.

გამლიელი. რაო, რა ბრძანე, როგორა თქვი?

მოხუცი. პროკურატორს თქვენ შეევედრეთო...

ხეიბარი. თქვენ ემუდარეთ იეშუა სიკვდილით დასაჯეთო?

გამლიელი. (შიმონს). ეგრე თქვი, განა?

შიმონი. პილატეს მისი სიკვდილით დასჯა არ ეწადა, შეებრალა კიდეც, თქვენ არ მოასვენეთ, რჯულს განუდგა და სიცოცხლე უნდა წაართვათო.

აბიჟუ. პილატე რა გულჩილი ყოფილა!

ხეიბარი (აღმფოთებული). ეგ როგორ იქნება, როგორ შეიძლება ადამიანის მტრის ხელში ჩაგდება!

მოხუცი. როდის იყო, რო რომაელთ იუდეველთა ჯვარზე გაკვრა ენანებოდათ!

ესთი. რაბის მოვუსმინოთ, რაბი იქ იყო!

**დუმილი. ყველა რაბის მოუტრიალდება.**

გამლიელი (პაუზის შემდეგ). არა, არა, არაფერი! (შიმონს) ისიც გეხსომება, რა დღე იყო... რომელი დღე თენდებოდა.

შიმონი. ყველაფერი მახსოვს, კარგად მახსოვს. მეხუთე დღე იყო. კი, მეხუთე დღე დაღამდა, მეექვსე დღე თენდებოდა. ხუთშაბათი დაღამდა. მეექვსე დღე -- პარასკევი თენდებოდა.

გამლიელი. არა, არა. მაგას არ გეკითხები. რით იყო ის დღე გამორჩეული.

ხუთშაბათი, პარასკევი ყოველ კვირაშია, ის დღე კი...

შიმონი (ღიმილით). ფესახი... პასექი შემობრძანდა. დიდი დღესასწაული... ეგვიპტის მონობიდან ჩვენი განთავისუფლების დღე.

გამლიელი. ჰო... ჰო...

**შიმონი.** ყველანი — მოძღვარი და მისი თორმეტივე მოწაფე გეთსემანის ბაღში წავედით, იქ გვქონდა სერობა, იქ გავტეხეთ ზმიადი — მაცა, პური ჩვენი ტანჯულობისა, რომელსაც უდაბნოში სჭამდნენ მამები ჩვენი. (პაუზა. სინანულით.) იქ მითხრა უფალმა ჩემმა „გილე“ მამალი იყივლებდეს, სამჯერ უარმყოფ მე“.

35.

**გამლიელი.** უარყოფა, არსის უარყოფა... ახალი თვისება შეგიძნია, შიმონ კიპა! **შიმონი.** იქ მოვიდნენ ლეგიონერები, მაღალი, მხარბეჭიანი, ნახევრად შიშველი, ტყავით ნახევრად შემოსილი რომაელნი და წაიყვანეს... სინედრიონში.

**პაუზა.** დუმილი კარგა ხანს გაგრძელდება.

**გამლიელი.** მაშ, მეხუთე დღე იყო და ფესახის დღესასწაულიც დადგა?

**შიმონი.** კი, პასექის მოსვლა ვიზეიმეთ.

**გამლიელი** (იჭვით). არა ვგონებ, უგრე ყოფილიყო. დღესასწაულის საღამო არ იქნებოდა, არ შეიძლება... სამი დღით ადრე, ან ოთხი დღის წინ თუ მოხდა ყველაფერი, ფესახის დადგომამდე ოთხი დღის წინ.

**შიმონი.** რაბი, ძლიერ მიჭირს გეკამათო, მაგრამ... რა ვქნა... უგრე იყო... განა ამდენი დრო გავიდა...

**გამლიელი.** არა, არა! უგრე არ იქნებოდა!

**შიმონი** (დაბეჯითებით). არაფერი, არაფერი არ მავიწყდება, ყველა ერთად წავედით გეთსემანიაში, იქ მოვაწყეთ სერობა -- აგადა. ის, რასაც ყოველი ებრაე-ლი კაცი აკეთებს პასექის პირველ საღამოს.

**გამლიელი** (კარგა ხანს დუმს). თუ მე არ გასწავლე, შენ მაინც რატომ არ ისწავლე — ნუთუ, ვერსად ვერ წაიკითხე?

**შაული** (დაეჭვებული). რა? ასეთი რა არის?

**გამლიელი.** თუ მოწაფემ არ იცის, რომ დღესასწაულის საღამოს არ შეიძლება, აკრძალულია სასამართლო სხდომის ჩატარება, მასწავლებლის ბრალია. სინედრიონი დღესასწაულამდე ერთი დღით ადრე წყვეტს სამსჯავრო სხდომებს. შენ მართალი ხარ -- ფესახი დადგა. წინა საღამოსაც კი არ შეიძლებოდა სხდომის გამართვა.

**შიმონი.** რაბი, სინედრიონის წევრები რომ შეიკრიბეთ, მღვრიე ცაზე მთვარე ეკიდა, დილამდე მსჯელობდით. უფალს ჩვენსას მსჯავრი გამოუტანეთ.

**გამლიელი.** ღამე სამსჯავრო არ შეიძლება, სინედრიონი კი წესს მტკიცედ იცავს. აკრძალულია!

**შიმონი.** ღამე იყო, უკუნი ღამე!

**გამლიელი.** სინედრიონის სასამართლო სხდომა უნდა დაიწყოს მზის ამოსვლის შემდეგ და უნდა დამთავრდეს მზის ჩასვლამდე. ამ კანონს ვერავინ დაარღვევს.

**შიმონი.** მე ხომ იქ ვიყავი... ყველანი მთვარის ამოსვლის შემდეგ მოვიდნენ. (აგონდება.) აი, შენ... შენ კი პირველთაგანი მოხვედი. ხელზეც კი გემთხვიე,

რაბი, ნუთუ, არ გახსოვს. შენ მითხარი: „ხაგ სამეახ!“ შხიარული დღესასწაული!

**გამლიელი.** მაგონდება, უგრე იყო... მღვდელმთავარ კაიაფას სიმამრთან -- ანანიას-თან ახლოს ვცხოვრობ, კაიაფამ იქ მიგვიწვია სინედრიონის წევრები.

**შიმონი.** აი, მოგაგონდა, ხომ მართალს გეუბნებოდი, რაბი!

**გამლიელი.** არა, რასაკვირველია, არა!

**შაული** (გაოცებული). შენ ხომ ახლახან ბრძანე...

**გამლიელი.** გითხარი, კი.

**შაული. აბა?**

**გამლიელი.** მივედი, სხვებიც მოვიდნენ. ყველა წევრი არ იყო... ავშალომ ბენ ზანანია არ მოსულა, არც იცხაკ ბენ დავიდი იყო... (იგონებს.) კიდევ? მალქიელ ბენ იორამი, სხვებიც...

**შიმონი.** და გამოიტანეთ სასიკვდილო განაჩენი -- იუდეის პროკურატორს იოშუა ნაზარეველის სიკვდილით დასჯა სთხოვეთ.

**გამლიელი** (შიმონს დაბეჯითებით შესცექერის) კი, მაგრამ... ეგ როგორ, რანაირად... ჩვენ ხომ სასამართლო სხდომა არ გვქონია. დღესასწაულზე არ შეიძლება. დღე-სასწაულიც არ ყოფილიყო, სინედრიონის სამსჯავრო სხდომა მხოლოდ ტაძარში, მხოლოდ უფლის ტაძარში იმართება. არ შეიძლება, არაფრით არ შეიძლება სამს-

36.

ჯავრო სხდომა გაიმართოს ოჯახში, გინდაც მღვდელმთავრის ოჯახში (ხაზგას-მით.) მხოლოდ სადაგ დღებში, მხოლოდ მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე და მხოლოდ ტაძარში.

**შაული.** ეგ როგორ, სინედრიონის წევრები ხომ მსჯვრის დადებისათვის შეიკრიბეთ!

**გამლიელი.** არა, არა, კაიაფამ იეშუა ანანიას ოჯახში მოაყვანინა. პილატემ რომ იეშუას დაპატიმრება ბრძანა, კაიაფამ სთხოვა მასთან საუბრის უფლება მოგვეცითო. **მოხუცი.** კაიაფა რომაელთა მეგობარი იყო.

**ნადაბი.** არა მხოლოდ კაიაფა, მისი სიმამრი ანანიაც.

**ხეიბარი.** მთელი იერუსალიმი ლაპარაკობდა: ანანიამ რომაელებს ქრთამი მისცა და მით გახდაო მღვდელმთავარი.

**მოხუცი.** კაიაფაც. ყველამ კარგად იცოდა, კაიაფა რომ ფულით გახდა მღვდელ-მთავარი.

**შაული** (ერთობ დაინტერესებული). რაბი, თუ სამსჯავრო არ გქონდათ, რისთვის გიხმეს, ან უფალი ჩვენი რისთვის მოიყვანეს ანანიასას?

**გამლიელი.** კაიაფამ კარგად იცოდა, რომ ებრაელობას არ უყვარდა, კაიაფას რჩევას, აზრს არაფრად ჩააგდებდა... იეშუა კაიაფას შეცდომებმაც აამხედრა სინოდრიონის წინააღმდეგ.

**მოხუცი.** ან რა ჰქონდა შესაყვარებელი, რისთვის უნდა გვყვარებოდა?!

**გამლიელი.** ის, რომ ფესახში სინოდრიონი მსჯავრს არ გამოიტანდა, პილატეს არაფრად ენაღვლებოდა. მას ეწადა სასწრაფოდ მოეშორებინა თავიდან ადამიანი, რომელიც ამბობდა იუდეის მეფე ვარო და ამით რომაელთა სასურველი მეფე იროვნის მეტოქედ აცხადებდა თავს. პილატემ კარგად იცოდა, რომ ხალხი იეშუას უსმენდა, მისი სჯეროდა. იერუსალიმში იეშუას შემოსვლამ, იმან, თუ როგორ შეხვდნენ იუდეველნი რაბი იეშუას, პილატე გააცოფა. ფესახში კი, რვადღიანი დღესასწაულის განმავლობაში უფროდაუფრო მეტი ხალხი მიუგდებდა ყურს იეშუას. ამიტომ ჩქარობდა, სინედრიონის აზრი არაფრად აინტერესებდა. იროდის ტახტის მოქიშპე უნდა იავარქმნილიყო.

**შაული.** მაშ, რაღად გიხმოთ კაიაფამ, მის ჭერქვეშ რისთვის შეიკრიბეთ?

**შიმონი.** თუ სამსჯავრო არ შესდგებოდა, რისთვის მიხვედით?

**გამლიელი.** იეშუას სიცოცხლის გადასარჩენად, იმისათვის, რომ კიდევ ერთი ებრაელი გვეხსნა ჯვარზე გაკვრისაგან.

**შიმონი** (ცხარედ). არა, არა, არ იყო ეგრე!

**შაული.** მმაო, შიმონ რისთვის შფოთავ, მოვისმინოთ. (გამლიელს.) რაბი, მაშ, რისთვის გიხმეს?

**გამლიელი** (პაუზის შემდეგ). თუ უწყით, როგორ დალია სული პილატემ? არცერთ ადამიანს ასეთი წამებით არ დაუმთავრებია სიცოცხლე – გამჩენმა თავისი მიაგო იუდეველთა მოძულე პილატეს. იუდეველნი არცერთ პროკურატორს არ დაუნდვია, მაგრამ პილატე? მოძულე ისრაელისა დღეში სამ იუდეველს მაინც აკრავდა ჯვარზე. იროდის მეტოქის გამოჩენამ კი გააცოფა.

**შაული.** თქვენ? თქვენ რა უნდა გექნათ?

**შიმონი.** თუ მსჯავრი არ უნდა გამოგეტანათ, რისთვის შეიყარენით!

**გამლიელი.** იოშუა დილას პილატეს სამსჯავროზე უნდა წარმდგარიყო. მთელი ღამე ჩავძახოდით უარი ეთქვა იუდეის მეფედ თავის გამოცხადებაზე. ჩვენი ქვეყნის ამაოხრებელთან მისულიყო რაბი, რომელიც იუდეველთა წესების დარღვევას სწუნობდა, მცნებათა მკაცრ დაცვას ითხოვდა. ამით შეიძლებოდა მისი გადარჩენა, რადგან პილატეს რაბების ბრძოლა არად ენაღვლებოდა. (პაუზა.) მთელი ღამე

37.

ამაოდ ჩავძახოდით უარი ეთქვა, იმაზე, რომ იუდეის მეფეა.

**შიმონი.** არა, რაბი, თქვენ თავად გამოუტანეთ განაჩენი მოძღვარს ჩვენსას.

**გამლიელი** (ვნებადაცლილი, დაღლილი კაცის მზერით შესცეკრის შიმონს). გითხარი უკვე... არც შეიძლებოდა. ამათ გარდა... ნუთუ, არ გახსოვს, ნუთუ, უკვე დაივიწყე ნასწავლი: ჩვენის წესით, ადამიანს დამნაშავედ ვერ სცნობ და სიკვდილს ვერ მიუსჯი, თუ ეს ადამიანი ორმა... ერთმა კი არა, თუ იგი ორმა კაცმა არ გააფრთხილა: თუ ამ საქმეს ჩაიდენ, სიკვდილი გემუქრებაო... უნებლიერ ჩადენილი დანაშაული სიკვდილით არ ისჯება... გავაფრთხილეთ... გვეწადა რაბის სიცოცხლის გადარჩენა. არაფერი გაგვივიდა – ჩვენი რჩევა არ მიიღო.

**შაული.** ღმერთები ადამიანთა რჩევას უკუაგდებენ, რაბი, ღმერთი ადამიანთა რჩევას როგორ მიიღებდა?!

**იოზანანი.** იეშუა კაიაფას გზით ივლიდა?!

**გამლიელი** (ერთხანს ისეთივე არაფრისმთქმელი მზერით ჩასცეკრის შაულს, როგორც ახლახან შიმონს ჩასცეკროდა). ღმერთი...

**მოხუცი.** ღიღმა რაბი გამლიელმა ცოდვას გადაგარჩინათ -- თუ სიმართლეს არ გაიგებდით და კვლავაც იმას იტყოდით, რასაც აქამდე...

**შიმონი** (მკვახედ). არა, იეშუას სისხლი სინედრიონზეა!

**შაული.** სინედრიონმა გასწირა უფალი ჩვენი!

**შიმონი.** გვითქვამს, ვიტყვით, შთამომავლობასაც გადავცემთ, რომ თქვენ, სწორედ თქვენ...

**შაული.** და არა რომაელებმა...

**შიმონი.** რომაელებს არც ეწადათ ჩვენი ღმერთის დასჯა...

**მოხუცი.** აჰა, თქვენ კი სიმართლეო... სიმართლეს სუნთქვა მხოლოდ მაშინ

შეუძლია, როცა ის სჭირდებათ. მანამდეც და მერეც ლეშია, მხოლოდ ლეში.

**შაული.** თქვენი გადარჩენის ერთი გზა ვიცი, მხოლოდ ერთი გზა არსებობს – ყველა უნდა მოინათლოთ, ყველამ დაუტევოთ ეგ ძველი რწმენა და დაადგეთ ახლის გზას.

**შიმონი.** ეგ არის. უნდა მიიღოთ ღმერთი ჩვენი. თუ ამ გზით არ ივლით...

**აბიჟუ.** თქვენ გგონიათ, ამათ სიმართლე დღემდე არ იცოდნენ? მაგრამ: თუ ჩვენსა და ამათ შორის სისხლის მდინარე არ ჩაივლის, დიდ გზაზე ვერ გავლენ.

**შაული** ახლავე, ახლავე ყველანი იმ პატია მდინარეში უნდა მოინათლოთ, თორებ ჩვენი ღმერთის მიუღებლობის გამო დიდი საშიშროება გელით. იუდეველნო, ნუთუ, ვერა გრძნობთ: წამლეკავი ქარიშხალი გიახლოვდებათ.

**მოხუცი.** გეშინოდეს, ისრაელ, უფრთხოდე შვილებს: სინაის მთაზე დადებული კავშირის ღალატი აქ, იუდეაში მოინდომეს – აქ, ჩვენს შორის, გაჩნდა გამჩენის უარყოფის აზრი. აქ მოიგონეს ახალი ღმერთი. გვაპატიებს ამას ჩვენი ღმერთი?

### დუმილი.

**აბიჰუ.** ამათ კარგად უწყიან: ხალხს სისხლდენილი ებრალება, ხალხი სისხლნათ-ხევის გვერდით დგება. ამიტომ იოშუას იუდეველთა მსხვერპლად წარმოსახავენ.

**შაული.** თქვენ უნდა დაადგეთ გზას, რომელსაც ძალუბს ხეიბარი გაამთელოს, მიცვალებული გააცოცხლოს, გარდაცვლილი სამოთხეში შეაბრძანოს და მიიღოთ ღმერთი-ჭეშმარიტი. ეს არის თქვენი გადარჩენის ერთადერთი გზა!

**პრანჭია ქალი.** და თუ ჩვენ კვლავ ჩვენი ღმერთის ერთგული დავრჩებით?

**შიმონი.** ერი თქვენი დაიტანჯება. ერი დაადგება ვაების გზას.

**მოხუცი.** ერი ჩვენი შესაძლოა დაიტანჯოს, დაადგეს ვაების გზას -- მის წიაღში იშვა აღონაის უარყოფის იდეა.

**ეუდა.** მე ვიცი გზა ხსნისა: ერის ტანჯვას, ის მიჯობს, ეს ორი ადამიანი სამარა-

## 38.

დისოდ დავადუმოთ.

**მანდილოსანი.** ჩავქოლოთ!

**მოხუცი.** ეს ორი კაცი გავიმეტოთ და ყველაფერი დამთავრდება. აღარც ახალი რჯული გავრცელდება, აღარც ჩვენი ხალხის ბრალეულობაზე ილაპარაკებენ.

**შეძახილები:**

- მოვიშოროთ!
- ქვეყნიერებას ჭირი მოვაშოროთ!
- ჩავქოლოთ. აღარ იქნებიან იუდეო-ქრისტიანები!

შიმონისა და შაულის, მათი მომხრე იუდეო-ქრისტიანების  
ირგვლივ წრე იკვრება.

-- სიკვდილი, სიკვდილი განდგომილო!

-- მოღალატეთ მუდამ სჯიდნენ!

**ნადაბი.** რაბი? დიდი რაბი რას იტყვის?

### გამლიელი დუმს

**მოხუცი.** გამჩენი მისგან ზურგის ქცევას არ გვაპატიებს.

**ეუდა.** ზელოტნო, რომაელები კი არა, ესენი გვებრძვიან. ჩვენი სისხლი, ჩვენი ხორცი!

**დედაკაცი.** არ ისვენებს ჩვენი ხალხი, არ ისვენებს! ახალ ღმერთზე ლაპარაკობს. რატომ? რისთვის?

**ხეიბარი.** ისრაელებო, როგორ იქნება, რას ამბობთ!

**ნადაბი.** რაბი!

**გამლიელი.** იუდეველთა ყოველი თაობა ელოდება მაშიახს. იუდეაში იყო ფევდა, ადამიანი, ძე კაცისა, რომელიც ამბობდა მესიად მოვედიო. ფევდას დიდაბალი ხალხი დაუდგა გვერდით. ბევრმა ირწმუნა მესიაო, მაგრამ ფევდა გარდაიცვალა და მისი მიმდევრები მიმოიფანტნენ. დღეს ვიღას გახსოვთ ფევდა? არავის! ბევრი, ძალიან ბევრი იუდეველი მიმხრო ეუდა გალილეველმა. ესეც იძახდა მაშიახი ვარო.

მისდევდნენ, ახალ ღმერთად აღიარებდნენ. მერე ეუდა გალილეველიც გარდაიცვალა და მისი ყოველი მიმდევარი ქვიშაში ჩასხმული წყალივით გაილია.

**პრანჭია ქალი.** მაგით რისი თქმა გნებავს, რაბი!

ეუდა. ესენი უნდა ჩაიქოლონ, ამათი ჩაქოლვა გვიხსნის და იეშუაც ისევე მიავიწ-ყდებათ, როგორც ეგ ფევდა, ეუდა გალილეველი.

**გამლიელი.** არა, იუდეველნი მაგ გზით ვერ ვივლით... ყოველ კაცს უნდა შეეძლოს თავისი თავის პატრონობა. თავად უნდა აირჩიოს, რა გზით იაროს. ფევდასა და ეუდა გალილეველის ამბავი გაგახსენეთ, დღეს ისინი აღარავის ახსოვს იმიტომ, რომ მათს საქმეში ღმერთი არ ერია, ღმერთს არ ეწადა...

**ნადაბი.** განა ესენიც ეგრე არ ჩაგვძახიან?

**მოხუცი.** ისინი ფევდასა და ეუდას მიიჩნევდნენ ღმერთად, ესენი— იოშუას.

**გამლიელი.** ყველაფრის განმსჯელი, განაჩენის გამომტანი ღმერთია. ღმერთს მივანდოთ ყველაფერი. თუ აქ ღვთის ნება არ არის, ესენიც, რაოდენ ბევრიც არ უნდა იყვირონ, უდაბნოს ქვიშაში ჩასხმული წყალივით გაილევიან. (პაუზა.) და თუ ყველაფერი ეს ღვთის ნებით ხდება... იუდეველნო, თუ ამ ამბავს ღმერთი წარმართავს? (პაუზა.) ჩვენ რა შეგვიძლია ან რას გავხდებით?

**დუმილი.**

**ზაია.** რაბი, მაშ, რას გვირჩევ?

**მანდილოსანი.** როგორ მოვიქცეთ?

**აბიჰუ.** ეგრე მივუშვათ? ეგენი ცილს გვწამებენ, ჩვენ კი...

**დუმილი**

**გამლიელი.** პასუხი... თქვენ პასუხს მოხოვთ. პასუხი არის შეკითხვა ჩემი: თუ ყვე-

39.

ლაფერი ეს ღვთის ნებაა? (ზანგრძლივი დუმილი.) მივყვეთ ჩვენს ღმერთს. მივსდიოთ, მის გზას არ ავცდეთ... ესენი კი... დრო... დრო... ღმერთი თავად გვეტყვის, ღმერთი უსათუოდ მოგვცემს ნიშანს. ეგენი ხომ იშვნენ ჩვენი ნეკნიდან, ვითარცა ევა ადამისაგან, ვინ იცის, ღმერთი კიდევ რას გვავალებს, რისთვის გვინახავს... რას გვაკისრებს... იყუჩეთ, ისრაელებო, იყუჩეთ და...

**შაული** (ცხარედ). არა, ეგრე არ იქნება, ეგ არ არის სწორი!

**ნადაბი.** (გამლიელს). არ არის სწორი! ნუთუ, არაფერი ვიღონოთ, როცა ჩვენი სისხლისა და ხორცის გამეტებას გვაბრალიან?!

**შაული.** არა, ის არ არის თქვენი სისხლი და ხორცი, თქვენთან რა საერთო აქვს, იგი ღმერთია, მე ღმერთისა! ნუდარ იტყვით, რომ თქვენს შორის იშვა -- ღვთის ნებით იშვა უფალი ჩვენი და მეა ღმერთისა!

**შიმონი.** დღეიდან აღარ არიან იუდეო-ქრისტიანები. იუდეველებთან აღარაფერი გვაქვს საერთო. დღეიდან არიან მხოლოდ მესიის მიმდევრები -- ქრისტიანები და ხართ თქვენ -- იუდეველები. (იუდეო-ქრისტიანებს.) აქეთ, აქეთ დადექით, იუდეველობა თქვენი გარდაიცვალა, იუდეველობამ სული დალია. მალე ხანუქა იწყება. თქვენ აღარ იდღესასწაულებთ ხანუქას. ნაცვლად ხანუქისა, იდღესასწაულებთ უფლის ჩვენის -- იესო ნაზარეველის შობის დღეს. ხოლო ნახანუქევს იდღესას-წაულებთ მისი ნათლისღების დღეს. არა, აღარ იქნება როშ ჰა შანა -- მოსავლის აღებას ახალ წელთან რა ხელი აქვს -- ახალი წელი ამიერიდან დაიწყება იმ დღეს, რა დღესაც იშვა უფალი ჩვენი. ფესახში მოაკვდინეს იგი -- სისხლივით

წითელი იყო ის პარასკევი, მაგრამ ფესახშივე აღდგა. ვიზეიმოთ არა ფესახი -- ეგვიპტელთა მონობიდან განთავისუფლება, არამედ ბრწყინვალე აღდგომა ღმერ-თისა ჩვენისა. შავუოთამდე სინაის მთის ძირას მცნებების მიღება კი არა, გარდაც-გალების მეორმოცე დღე აღნიშნეთ!

აბიჰუ. რაბი, ნუთუ, ამას ვაძლევთ დასაბამს -- ჩვენს სისხლსსა და ხორცთან დაპირისპირებას?

ნადაბი. სისხლი? სისხლი, რომელსაც ჩვენს შორის აქცევენ?

მოხუცი. ბრალეულობა? სისხლის ბრალს რას უშვრები, რაბი?!

გამლიელი. გამჩენმა შეპქმნა სამყარო და შეპქმნა ადამიანი. აპა, ქვეყნიერება და აი, გზა ადამიანისა. ეს ბრალეულობაც მისი ნებითაა, ალბათ, იმისთვის, რომ გამოიცნოს -- ვის, რას მსახურობს კაცი.

შაული. იუდეო-ქრისტიანებო, ყველანი იმ პატარა მდინარეში! აქ მოინათლებით! მოდით, ეზიარეთ ჭეშმარიტი ღმერთის გზას. მოგნათლავთ ვით იოხანანმა უფალი ჩვენი!(მოშეს.) ძმაო, ფილიპე! (მოშე მდინარეში ჩადის. გოგონას.) დაო, ნინო! (გოგონა მდინარეში ჩადის. ნათანს.) ძმაო, ნიკოლოზ! (ნათანი მდინარეში ჩადის. ჭაბუკს.) ძმაო, გიორგი! (ჭაბუკი მდინარეში ჩადის).

ხეიბარი. მეც, მეც თქვენთან ერთად! (იუდეველებს მოუბრუნდება) რატომ დგეხარ, რისთვის -- ესენიც ხომ ჩვენები არიან, განა უცხო გეძახით! (შაულს.) მე როგორ მნათლავ?

შაული (ხეიბარს). ძმაო ალექსი, მოიღეთ ნათლობა (ხეიბარი მდინარისაკენ გარბის. იოხანანს.) ძმაო, ბართლომე! (იოხანანი მდინარისაკენ მიდის.).

ესთი (გამოუდგება). არა, არა, იოხანან!

იოხანანი (მოუბრუნდება). წამოდი ჩემთან, ჩემთან წამოდი, ესთი!

ესთი. არა, არა! სად მიდიხარ, იოხანან!

შიმონი (ესთის). დაო, სერაფიმა, მოდი ჩვენთან, მოინათლე!

ესთი (შეჩერდება, ხან იოხანანს შესცეკრის, ხან იუდეველო). იოხანან!

შაული. დაო, სერაფიმა, გამოგვყე!

ესთი (ჩაიკეცება). არა, არა! არ შემიძლია!

## 40.

ზაია (მდინარისაკენ გარბის). იოხანან, იოხანან, მე, მე ვარ სერაფიმა (მდინარეში ჩახტება, იოხანანს ეხვევა.) შენთან მოვდივარ, იოხანან!

გამლიელი. ჩვენ კი დავრჩეთ ჩვენს კუნძულზე.

ესთი. ზაია, რას აკეთებ!

იოხანანი. ესთი, ესთი!

ზაია. მშვიდობით, ესთი!

ესთი (ცრემლები სდის). რატომ, რა დავაშავე, ღმერთო!

გამლიელი. ნუ ჰყითხავ, ნურც საყვედურობ, შვილო, მან უკეთ იცის როგორ მოაწყოს ეს სოფელი.

მდინარეს გაყოლილნი ნაპირზე დარჩენილთ ხელს უქნევენ.

ისმის გალობა..

თითქმის ჩაბნელებული სცენის იატაკზე ერთმანეთის მიყოლებით ინთება უამრავი კვარი -- იმდენი, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ სცენაზე დიდი რკალი მოიხაზოს..

შემოდის მაცნე, თან ცხვარი მოჰყავს.

მაცნე. გადმოგვზედე და შეგვისმინე ყოვლისშემსმენელო და მხილველო. იუდეა სასოწარკვეთის პირასაა. სულს ღაფავს შენგნით იუდეველთათვის ბოძებული ქვე- ყანა, მიიღე სამშვიდობო შესაწირი, მოიღე მშვიდობა შენგნით აღქმულ მიწაზე, რჩეული ერის შვილთათვის. შეგვინდე!

**ფარდა**